


„ხარს ვგეგვარ ნაიალლარს, რქით მიწასა ეჩხვერ ვებუნებ.
 ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვღღუნებ.“ ვაჟა



თავისუფლება



საკავთველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორბანო

გამოცემის პასუხისმგებელი: გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

825 / 3
 1980

№28 PARIS MARS 1980 მარტი პარიზი №28

გ ა მ ო ც ე მ ი ს მ ე ე ქ ვ ს ე წ ე ლ ი

ქ ე ქ ა - ქუხილი

რა მოხდა უცებ? რად ჩამოხნულა?
 წამში რად მოსკდა ზევაოდ და რისხვად?
 რისთვის შეწყვიტეს ფრინველთაც ღზენა?
 ეს ვინ აწვიმა სიკვდილის წვიმა?

ავდ იგრგვინა და დაიქექა,
 ქვეყნად მოსულმა სიკვდილის ცეცხლმა,
 ტანჯ-ზარბაზნების ყუმბაროკვეთებად
 ავღანთა მიწა დააღბო სისხლით.

ბიძია სემი მხოლოდ სიტყვების
 აყენებს მტვერსა, ქარსა და ბუქსა.
 ღმერთო! სადაა ძალა ქმედითი
 პოლარულ დათვს, რომ ასწავლის ქკვას.

ჰე, რჩება ბურთი და მოედანი
 ურჩხულს სისხლიანს, ერთაყლაპიას.
 არ ეკითხება: სურს თუ არა სურს?
 მსოფლიოს ახვევს წითელ მანტიას.

როზა აბნერაშვილი

შ ი ნ ა ა რ ს ი

- 2 უცხოეთში არსებულ ქართ. პოლიტიკურ პარტიების და ორგანიზაციების განცხადება
- 3 გუშინ ჩვენ, დღეს ავღანეთი მოწინავე
- 5 დამარცხება მართლა იყო აუცილებელი? გიორგი ქართველი
- 7 მცირე შენიშვნები დიდ საკითხებზე მამულს განშორებული
- 12 ცნობები საქ. ქრისტიანულ ეკლესიაზე: ქ. არტემიდა და გ. რაპველი
- 16 რუსთაველის კოსმოლოგიის შესახებ გიორგი წერეთელი
- 18 სამშობლოს ქრონიკები გრიგოლ წერეთელი
- 21 ადამიანები და წიგნები-„საზიარო პოეზია“ პოეზიის ქაშნიკი
- 24 ლევან ზურაბიშვილის გარდაცვალების ხუთი წლისთავი ნიკოლოზ ურუშაძე
- 25 გიგა მრელაშვილის ხსოვნას ვიტალი უგრანელიძე
- 25 კეთილი შესანდობარი თავისუფლების ტრიბუნა

RESPONSABLE: GEORGES TSETELI. 8, RUE DES MARCHAIS. 75019 PARIS. TEL. 607.08.14

Edition hors commerce

ა ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოსკოვის იმპერიალიზმის მსხვერპლი გახდა კიდევ ერთი სახელმწიფო. 27 დეკემბერს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, ომის გამოუცხადებლად, შეიჭრნენ ავღანისტანში, იქ არსებული კომუნისტური მთავრობა, რომელსაც სამეგობრო ხელშეკრულება ჰქონდა კრემლის მთავრობასთან, ამოეციტეს, მთ ტანკებითან და გამანადგურებელ ავიაციასთან ერთად ავღანულ ხალხს მოუყვანეს და დაუყენეს საბჭოთა მთავრობის მიერ დანიშნული მაროონეტული მთავრობა, შეუდგნენ მოწინააღმდეგეების უწყალო განადგურებას და სრულ სამხედრო დაპყრობას.

ავღანელი ხალხის ტრალედიამ ააღლევა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და „დეტანტის“ ილუზიებიდან გამოაფხიზლა მსოფლიოს უმრავლეს სახელმწიფოების მესვეურნი. ანგლო-საქსების სწრაფ და მტიციე რეაქციის შემდეგ, საბჭოების თავდასხმა ავღანისტანზე დაგმეს და იქიდან ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანა მოითხოვეს: გაერთიანებულ ერების ასამბლეამ, მონაწილეთა დიდი უმრავლესობით, 36-მა ისლამურმა სახელმწიფოს კონფერენციამ ქ. ისლამაბადში, დასავლეთ ევროპის გაერთიანების ცხრა სახელმწიფომ და სოციალისტურმა ინტერნაციონალმა, რომელიც ქ. ვენაში შეიკრიბა; დასავლეთის კომპარტიებიც, გარდა საფრანგეთისა, მონაწილეობენ ამ საყოველთაო დაგმობაში და თვით ვარშავის ბლოკის კომუნისტური მთავრობებიც ვერ მალავენ თავიანთ უცმაყოფილებას.

საბჭოთა კავშირის ერებს წართმეული აქვთ უფლება ჰქონდეთ მთავრობისაგან განსხვავებული აზრი, მაგრამ საეჭვო არ არის, რომ დიდი უმრავლესობა წინააღმდეგია ავღანისტანის სისხლიან ავანტიურის და გმობს მას.

ჩვენც, უცხოეთში გადმოხვეწილი ქართველები, პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები გულისწყრომით ვვგობთ საბჭოთა კავშირის მთავრობის იმპერიალისტურ ომს ავღანისტანში, ჩვენს სიმპატიებს ვუცხადებთ და თანადგომას ვთავაზობთ ეროვნულ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ მამაც ავღანულ ხალხს.

ამასთან ერთად, კაცობრიობას მოვავაგნებთ: ჩვენი სამშობლო, საქართველო, ასევე ომის გამოუცხადებლად და ვერაგულად იქნა დაპყრობილი 59 წლის წინად, როგორც დღეს ავღანისტანი. 59 წელიწადია რაც ქართველი ხალხი იბრძვის საბჭოთა რუსეთის მიერ წართმეულ თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, და გასაგებია, რომ ჩვენ განსაკუთრებულ გულმხურვალეობით ვუერთებთ ჩვენს საპროტესტო ხმას ყველა იმათ, რომელთაც დაგმეს საბჭოების ეს მორიგი ავრესია.

საზღვარგარეთ არსებული საქართველოს :

სოციალ-დემოკრატიული პარტია
 ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
 სოციალისტ-დედერალისტთა პარტია

პელსინკის შეთანხმების დაცვის პარიზის კომიტეტი
 ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნა“-ს გამომცემლობა.
 კრებულ „კავკასიონი“-ს გამომცემლობა

შიგნით კი რეპრესიები

15 იანვარს დააბატიმრეს მსოფლიოში ცნობილი მღვდელი დიმიტრი დუდკო, ხოლო 22-ში აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი ადმინისტრაციულ წესით გადასახლეს მოსკოვიდან ქ. გორკში, რომაც ფართო საპროტესტო გამოქაჩილი გამოიწვია დასავლეთის დემოკრატიულ სამყაროში.

ანდრეი სახაროვმა გადასახლებიდან განცხადება მოაწვდინა დასავლეთის პრესის წარმომადგენლებს მოსკოვში, რომელშიც ის მკაცრად გმობს საბჭოთა ხელისუფლების ორმაგ დანაშაულს— ავღანულ ხალხის უმოწყალო ხოცვა-ჟლეტვას და შიგნით ადამიანის უფლებების დამცველთა გულის წინააღმდეგ.



გ უ შ ი ნ ჩ ვ ე ნ , დ ღ ე ს ა ვ ღ ა ნ ე თ ი

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

25 თებერვალი ჩვენი სამშობლოს დაპყრობის მოსაგონარი დღეა. ამ დღეს, 1921 წელში, საქართველოს სატახტო დაიკავეს შემოჭრილმა საბჭოთა რუსეთის ჯარებმა და მათი მპყრობელობა დღემდე გრძელდება.

59 წელიწადი გავიდა მის შემდეგ. 59 წელიწადია კრემლის მთავრობა ყოველი საშუალებით ცდილობს ქართველის გულიდან ამოშალოს თავისუფლების ტრფიალი. ცბიერებით თუ ძალმომრეობით, ის ქართველს უნერგავს იდეას, რომ ურუსეთოდ საქართველოს არსებობა არ შეუძლია.

59 წელიწადია რაც ქართველობა აწარმოებს ხან აქტიურ და ხან პასიურ წინააღმდეგობას და ინარჩუნებს, როგორც თავის პირადულ სივალს ისე იმედს, რომ ახლო მომავალში განთავისუფლდება რუსების მპყრობელობისგან.

ვინც ჩვენი ქვეყნის მაჯისციემას ყურს უღვდებს, მას არ შეიძლება გამოეპაროს ქართველი ხალხის ერთსულოვანი გადაწყვეტილება: რაღაც არ უნდა დაუჯდეს შეინარჩუნოს დედაენა, ისტორიული მიწა-წყალი და თავისი ეროვნული განსხვავებულება.

ზოგიერთი იქნება ფიქრობდეს, რომ ჩვენ პატარა ერთ ვართ და ამიტომ დიდების ძალმომრეობის კანონს უნდა შეგუვრიდეთ, დავემოჩილოთ? არა, ეს მართალი არ არის! თვით საბჭოების ერთგულმა პოეტმა იოსებ ნონეშვილმა საერთაშორისო ფორუმზე, საბერძნეთში, ამაყად განაცხადა: „ნება მიბოძეთ, თავიდანვე არ დავეთანხმო ჩვენი კონფერენციის თემის ფორმულირებას, ხალხთა დაყოფას დიდ და მცირე ხალხებად, რადგან არ არსებობენ მცირე და დიდი ხალხები. არიან მხოლოდ მცირერიცხოვანი და მრავალრიცხოვანი ხალხები. ხალხის სიდიდე განიზომება არა რიცხოვნებით, არამედ მისი წვლილით საერთო -საკაცობრიო კულტურაში. სწორედ ამის მიხედვით და არა მცხოვრებთა რაოდენობით არის ზოგიერთი ხალხი სამართლიანად დიდი ხალხი...“ დიახ, ნონეშვილი მართალია და თუ საკითხი დაისმება ვინ რამდენი შეიტანა საკაცობრიო კულტურის ისტორიაში, მაშინ ქართველი ხალხი სულ ბოლო რიგებში არ აღმოჩნდება.

რაც მთავარია, ეს მტკიცედ სწამს ქართველ ხალხს, და მით გადაჭრით ემიჯნება ედუარდ შევარდნაძის „უფროსი ძმების“ თეორიას, რომელიც რუსებისადმი დაქვემდებარებას გულისხმობს.

ქართველი კაცი მუდამ მზად არის თავისი მტკიცე და ერთგული მარჯვენა გაუწოდოს მსოფლიოს ყველა ხალხებს ჭეშმარიტ მშვიდობის, თანამშრომლობის და შეგობრობისათვის, მაგრამ ვინც კი მის დამორჩილებას ცდილობს, ვინც მის შინ ბატონობას ჩემობს მათთვის „ ხმალის დავკრა ქართველებმა გულში ვიცით,“ ანაინას სიტყვებით რომ ვთქვათ.

1981 წელში კრემლის პატრონებს და მათ ქართველ ლაქიებს გადაწყვეტილი აქვთ განსაკუთრებით იზეიმიონ ჩვენი სამშობლოს დაპყრობის სამოცი წლისთავი და ქართველი ხალხიც ძალთ აზეიმიონ. იქნებ ისინი ვეღარ მოესწრონ ამას. მიმდინარე წელი შეიძლება საბედისწერო წელი გამოვლდეს მათთვის და მათთან ერთად შესაძლებელია დაემბოს მოსკოვის 350 წლიანი იმპერიაიც. მაშინ ვაგხსნება თავისუფლებისაკენ გზა ჩვენს ქვეყანასაც, მანამდის კი არც ერთმა მამულიშვილმა ხმალი ქარქაშში არ უნდა ჩააგოს.

ა ვ ღ ა ნ ე თ ი

წინა ნომერში, როცა ვებზობდით ირანში ამერიკელ მძევლებს ამბავს, ჩვენ მივეუთითებდით, რომ ეს ხელს უწყობდა საბჭოებს, განსაკუთრებით ავღანისტანში მათი მოქმედების გასაადვილებლად. მაშინ კიდევ არ ვფიქრობდით, რომ წითელი არმია საქვეყნოდ ცნობილ დამოუკიდებლად ავღანეთს მასიურად შეესივრდა. გასულ წლის მიწურულში ეს რუბიკონი გადაილახა და დღეს საბჭოთა კვშირის შეიარაღებული ძალები უწყალოდ ჟღერენ ავღანელ ხალხს, მიწასთან ასწორებენ მათ ქალაქებს და სოფლებს.

ავღანისტანი მაგარი ძვალი გამოვლდა საბჭოთა ქოფაკისათვის. მოძალადე რუსი იქ აწყდება საკადრის პასუხს მამაცი ავღანელებისას. ავღანეთის ტრადიციამ ყალბ დეტანტის მოდუნებისგან გამოაფხიზლა მსოფლიო საზოგადოება და მთავრობები. პირველ რიგში აღსანიშნავია ისლამური სახელმწიფოები, 36-მა ქვეყანამ ქ. ისლამაბადში გამართულ კონფერენ-



ციაზე უყოყმანოდ დაგმო საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეჭრა, მოითხოვა ამ ჯარების დაუყოვნებლივ უკან გაყვანა და გადაწყვიტა ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა ავღანისტანის ხალხისადმი. ასეთივე გადაწყვეტილება ატლანტიურ კავშირის სახელმწიფოების მიერ, საფრანგეთის ჩათვლით, რასაც ემატება ჩინეთი, იაპონია და ინდოეთის ოკეანეს ყველა დამოუკიდებელი ქვეყნები. თვით ინდია განდის ინდოეთის მთავრობაც ვეღარ მალავს მის აშკარა უკმაყოფილებას. მიუხედავად საბჭოთა მთავრობის ვეტოსი, გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის ასამბლეამ დაგმო საბჭოების მიერ ავღანეთზე თავდასხმა. ის აგრეთვე დაგმეს სოციალისტურმა ინტერნაციონალმა, საერთაშორისო ჰუმანიტარულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა. სსრკ, როგორც ჭირიანი, მყოფებმა სრულ დიპლომატიურ, ეკონომიურ და მორალურ იზოლაციაში. ამერიკის შტატების მთავრობის ინიციატივით, დასავლეთის სახელმწიფოებმა ბოიკოტი გამოუცხადა საბჭოებს მიჰყიდოს მოწინავე ტექნიკა, ხორბალი და სხვა სასურსათო პროდუქტები, რომლებიც ასე ესაჭიროება მის ეკონომიურ რეშორილ ქვეყანას. დაბოლოს, თუ საბჭოთა ჯარები მანამდე არ დასტოვებენ ავღანეთის ტერიტორიას, საბჭოთა კავშირის ემპეჩერება მოსკოვის საერთაშორისო ოლიმპიადის ბოიკოტი.

თუ კრემლის სტრატეგებს სხვა უფრო ფართო პოლიტიკური და სტრატეგიული გეგმები არ აქვთ ახლო მომავლისათვის, რომლებიც ავღანისტანის დაპყრობას უნდა მოყვეს, მაშინ ავღანეთის აგრესია ხელავე შეიძლება ჩაითვალოს, როგორც დიდი მარცხი. მან გამოაფხიზლა ამერიკის მოდუნებული ენერჯია. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო დაუახლოვა ჩინეთს, იაპონიას ნების ძღვეს შეიარაღებისას, ამტკიცებს პოზიციებს ინდოეთის ოკეანეში, ხმელთაშუა ზღვაში და ომანის ზღვაში. ავღანეთის ამბავმა საბჭოთა მისცა ჩინეთს კიდევ უფრო გააქტიურება ანტისაბჭოური პროპაგანდა მსოფლიოს ყველა კუთხეში, ხოლო ევროპაში უკანასკნელი ლახვარი ჩასცა მის მიერ ასე მონდომებით შეკოწიწებულ ჰელსინკის ხელშეკრულებას.

ბრენენეს ორი გზა დარჩენია, ორივე ნარკელიანი: ან უდა გააგრძელოს ავღანელი პარტიზნების ხოცვა-ჟლეტვა, და რაც მეტი დრო გავა მით უფრო მეტი მოსისხლე მტერი შეიძინოს თავად და შეძინოს რუსის ხალხს, ანდა სამარცხვინოდ უკანვე გაიყვანოს თავისი არმიები და თავს დაიტეხოს თავისივე მხედრობის რისხვას.

ილია მეორე პარიზში

შეიძლებოდა აქ დაგვემთავრებია ეს ჩვენი მოწინავე წერილი, მაგრამ ჩვენთვის, განსაკუთრებით დღევანდელ ვითარებაში, დიდმნიშვნელოვანი იყო საქ. კათალიკოს-პატრიარქის სტუმრობა პარიზში და ამიტომ საჭიროდ მიგვიჩნია ამის შესახებაც ჩვენი აზრი ვთქვათ.

მისი უშუალოდ ილია მეორე ჩვენ მივიღეთ როგორც ძველი ივერიის დიდებული ეკლესიის უზენაესი მწყემსი. ეს ეკლესია მეზუთე საუკუნიდან მოყოლებული დამოუკიდებელი იყო, როგორც სხვა ეკლესიებისგან, ისე ქართველ მეფე-მთავრებისგანაც. მხოლოდ რუსეთმა დაამდაბლა მისი დიდება, გააუქმა კათალიკოსობა, საქ. ეკლესია დაუმორჩილა რუსულ ეკლესიას სინოდს. შედეგი ცნობილია: ეკლესიამ დაჰკარგა თავისი გავლენა ქართველ ხალხზე.

1918 წელში ჩვენმა ეკლესიამ პირველმა დაიბრუნა თავისი ავტოკეფალია — განახლდა, გაქართულდა და ძველებურად კვლავ აღსდგა მისი შერყეული ავტორიტეტიც.

ერის არც ერთ ინსტიტუტს ისეთი წინააღმდეგობა არ გაუწევია შემოჭრილ ბოლშევიკურ რუსეთისთვის, როგორც მას გაუწია ქართულმა ეკლესიამ. კათალიკოს ამბროსიდან დაწყებული სოფლის მღვდლებამდე გაბედულად აღსდგენ შელახულ ეროვნულ და საეკლესიო თვითხელმწიფების დასაცავად. გააყვებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო არა მარტო სამოციკველოები, არამედ აგრეთვე იქ მსახური მღვდელი და ბერ-მონაზონებიც. საქართველოს ეკლესიას ასეთი რამ მანამდე არ მოსწრებია არც სარკინოზ, არც მონილო, არც თურქ და არც სპარს დამპყრობელთაგან. ბოროტება იყო საარაკო და გაუგონარი, მას მხოლოდ ბოლშევიკური შეიძლება ეწოდება.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის დროს ეკლესიები კვლავ საჭირო გახდა რუსეთის მაშინდელ მზრძანებლისათვის, და ამის შემდეგ კვლავ დაიწყო რუსეთშიც და ჩვენშიც მათი ნელნელი აღორძინება, მაგრამ ის მაინც ხერხემალ გატეხილი დარჩა და დღემდე ვერ შეძლო მებრძოლ ათეისტურ სახელმწიფოს უზენაესობიდან განთავისუფლება.

ჩვენ ძალიან კარგად ვუწვიით, რომ მისი უშუალოდ ილია მეორე თავის-უფალი



არ იყო. მაგალითად ისიც კმარა, რომ მან ჩვენი მიღება არ ინება ინტერგეუს ჩამოსართმევად. მაინც იგრძნობა გაუმჯობესება. ჩვენი სურვილი კია სრულყოფა. სრულყოფისათვის უბირველესად საჭიროა ყოველგვარ ამქვეყნიურ შიშის დათრგუნვა და შემდეგ ღირსეულად ტარება ორი მიმე ჯერის—იესო ქრისტესი და ერის—. ილია მეორე ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. მას სარბიელი წინ უძევს. ჩვენ კარგს მოვუწონებთ, ცუდს დავეუწუნებთ. ფრანგები ამბობენ: „ვინც იცოცხლებს ნახავსო.“

და მ ა რ ც ხ ე ბ ა მ ა რ თ ლ ა ი ყ ლ ა უ ც ლ ე ბ ე ლ ი ?

არა! 1921 წლის თებერვალ—მარტის ომის დროს საქართველოს შეძლო შემოსეულ მტრის გამკლავებოდა და ქვეყნის დამოუკიდებლობა დროებით მაინც შეინარჩუნებია.

ჩვენი მაშინდელი ხელმძღვანელები თავს იმართლებენ არითმეტკულ საბუთებით. ისინი გვეუბნებიან შეუძლებელი იყო ას მილიონიან რუსებს სამი მილიონიანი საქართველო გამკლავებოდაო. თუ ამით დავეყვითლებით, მაშინ მართლაც უნდა დავმარცხებულყავით და კიდევაც დავმარცხდით. მაგრამ მცირერიცხოვან ერთა საბედნიეროდ მარტო არითმეტკი-კა არ წყვეტს ომების ბელს, როგორც საქართველოს ისე საკაოლბორი ისტორიამ იცის არა-ერთი მაგალითი, როცა ვაცილებით მცირერიცხოვან ერებს წარმატებით მოუგერებიათ და კიდევაც დაუმარცხებიათ მათზე მომხდური ვაცილებით მრავალრიცხოვანი მტრის ჯარები.

ამ მოკლე წერილში აზრად არ მაქვს განვიხილო ყველა ის საშინაო და საგარეო პირობები, რომლებიც არსებობდნენ იმ ჩვენთვის საბედისწერო ომის დროს. ეს პირობებზე ისტორიკოსის საქმეა და იმედია, რომ ეს თავის დროზე სამშობლოში გაკეთდება. მე კი აქ მოკლედ შევხებები ზოგიერთ საკითხებს, რომლებიც ჩვენი დამარცხების აუცილებლობის წინა-აღმდეგ მეტყველებენ.

ცნობილია სამშობლოს დამცველ ჯარებს აქვთ ორმაგი უპირატესობა შემოსეულთა მიმართ: უკეთ იცნობენ საბძოლო ადგილმდებარეობას და, იცავენ რა თავიანთ სახლკარს, უფრო მამაცები არიან. თანაწორი შეიარაღების და ორგანიზაციის პირობებში, შემოსეულ-მა ჯარების სარღობამ რიცხოზრივად ორჯერ მეტი ძალები მაინც უნდა დააგროვოს დამ-ცველთა წინააღმდეგობა რომ გატეხოს და დაიმორჩილოს.

იმ დროს, ნორმალურ ორგანიზაციის პირობებში, საქართველოს თავისუფლად შეძლო ბძოლის ველზე დაუყოვნებლივ გამოეყვანა 50 ათასი მეომარი, ხოლო ხანგრძლივ ომის შემთხვევაში 150-200 ათასი. შეძლო იმ დროს საბჭოთა რუსეთს ამდენ ჯარების გამოგზავნა საქართველოს ფრონტზე?

მართალია საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა იმ დროს უკეთესი იყო. მან მოახდინა ნორმალზაცია მეზობელ ქვეყნებთან: 1920 წელში ბალტიის ქვეყნებთან, 1921 წლის 26 თებერვალს ირანთან, 29 თებერვალს ავღანისტანთან, 16 მარტს თურქეთთან, ამავე დღეს ინგლისმა ხელი მოაწერა სავაჭრო ხელშეკრულებას ლენინის მთავრობასთან და 18 მარტს ხელშეკრულება დაიდო აპოლონეთთან.

სამაგიეროდ, ბოლშევიკურ რუსეთის საშინაო მდგომარეობა, იმ დროს, როცა მისი ჯარები საქართველოს შემოსივნენ, კატასტროფული იყო. იმ დროს, კიდევ ერთხელ საბჭოთა ხელისუფლების მთავარი საჭირობოროტო საკითხები შიშშილი. 1920-21 წლების ზამ-თარი განსაკუთრებით მძიმე იყო რუსეთისთვის. ქალაქებში მალაზიები ცარიელი იყო და მხო-ლოდ შავი ბაზრით იკვებებოდა ხალხი. მოსკოვის ბაზრის ფასები 30.000-ჯერ უფრო მაღალი იყვნენ 1913 წლის ფასების დონეზე. რუსი გლეხი არჩევდა თვითონ მოეხმარა, ისედაც მცირე მისი პროდუქტია, ვიდრე გაეყიდა ფულში, რომლის ფასიც ჩალად არ ღირდა. ასეთი პირო-ბები ქალაქების მცხოვრებლებში იწვევდა დიდ უკმაყოფილებას და ამაფთქებელ განწყობი-ლებას. დამშულ ქალაქების გამოსაკვებად, 1921 წლის დასაწყისში, რუსეთის ბოლშევი-კურმა ხელისუფლებამ კვლავ მიმართა მის ნაცად ღონისძიებებს—რეკვიზიციას. მოსკოვიდან და პეტროგრადიდან სოფლებში გაიგზავნა 25 ათასი მუშა ბოლშევიკების მეთაურობით, რომლებიც გლეხებს ართმევდნენ პირწმინდად რაც კი რამ გააჩნდათ. ეს გამოდგა დამწ-ვარზე ცივი წყლის დასხმად, მან კიდევ უფრო ააღელვა უამისოდაც უკმაყოფილო გლეხობა. ერთ და იმავე დროს, მთელს რუსეთში, გლეხი და მუშა თავის თავს ეკითხება თუ რა მოუ-

ტანა მას ბოლშევიკურმა რევოლუციამ? პასუხი ერთია: სილატაკე, შიმშილი და ძალადობა.

ასეთ დიდ კრიზისულ ვითარებაში თვით ბოლშევიკური პარტია განიცდის დიდ განხეთქილებას ერთი საერთო პოლიტიკური ხაზის დადგენის და გატარების საქმეში. ბოლშევიკური პარტიის წამყვან ლენინურ პოლიტიკას უპირისპირდება ორი ძლიერი ფრაქცია, მუშათა ოპოზიცია, „ალექსანდრე შლიაპნიკოვის მეთაურობით და „პროფკავშირელთა ოპოზიცია“, ო. ლუტინოვის მეთაურობით. ლენინს აგრეთვე ბრძოლა უხდება ტროცკის წინააღმდეგ. პარტიის შიგნით არსებული ბრძოლა, რა თქმა უნდა, თავს იჩენს მის გარედაც და ასუსტებს ბოლშევიკურ მთავრობას.

თებერვისი დასაწყისში რევოლუციით აღმფთვებული გლეხობა აჯანყდა, პირველად ტამბოვის მხარეში შემდეგ კი ის თანდათან ედება მის აღმოსავლეთი ვოლგის, ურალის და დასავლეთ ციმბირის სოფლებს. აჯანყებულები ჰკლავენ ბოლშევიკებს და არა მარტო უარს ამბობენ პროლეტების ჩაბარებაზე, არამედ აგრეთვე ეცემიან და იტაცებენ უკვე ჩამორთმეულ ხორბლით დატვირთულ მატარებლებს, რომლებიც დამშეულ დედაქალაქისკენ მიემართებიან. ხელისუფლებას არ ყოფნის სამხედრო ძალები აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ, ხშირად წითელარმიელები თავიანთი იარაღით გადადიან აჯანყებულთა მხარეზე. ლენინის წინაშე იმართება საშინო აჩრდილი პუგაჩოვისა და სტეპკა რაზინისა.

ამას ემატება გაფიცვები და აჯანყებები პეტროგრადში. 23 თებერვალს იფიცება ლითონის მიღების დიდი ქარხანა. ქარხნის მუშების მიტინგის რეზოლუცია მოითხოვს: მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა დააირიგოს სურსათ-სანოვავე და საზამთრო ტანსაცმელ-ფეხსაცმელები. მეორე დღეს მუშები თავს უტახებენ პეტროგრადის პროფკავშირის ბოლშევიკ თავმჯდომარეს, ანკელოვიჩს, რომელიც მათ სამუშაოდ მოუწოდებდა და ფაქტურად აჯანყდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ნიშნად სოლიდარობისა მთელი ქალაქის საწარმოები იფიცებიან. გაფიცვებს თანდათან ეძლევათ პოლიტიკური ხასიათი, მუშები მოითხოვენ თავისუფალ საბჭოების არჩევნებს უბოლშევიკებოდ.

28 თებერვალს კი იფიცა კუნძულ კრონშტადტის მეზღვაურთა ამბოხებამ. ეს ის მეზღვაურები გახლავთ, რომლებმაც სივანლი მისცეს ოქტომბრის გადატრიალებას და, რომლებიც ბოლშევიკურ რევოლუციის მოწინავე ციხე-სიმაგრედ იყო გამოცხადებული.

აჯანყებულმა მეზღვაურებმა გამოაცხადეს „რევოლუციური კომუნა“ და წამოაყენეს ლოზუნგი: „საბჭოები უბოლშევიკებოდ“ ლენინს თავზარი დაეცა. ეს იყო მისი რევოლუციის დასაბრუნების მაცნე. ყოველგვარი დათმობა კრონშტადტისადმი ნიშნავდა ბოლშევიკების პოლიტიკურ გაკოტრებებს და ამიტომ გადაწყდა მისი დაუყოვნებლივ განადგურება. საბჭოთა მთელი სამხედრო ძალები, თვითმფრინავებითა და არტილერიით დაუყოვნებლივ გაიგზავნა კრონშტადტის წინააღმდეგ, ტუხაჩევსკის და ვოროშილოვის სარდლობით. 16 დღე და ღამე გაუძლო კრონშტადტის რევოლუციურმა კომუნამ. განსაკუთრებულად გააფთრებულ ბრძოლებს ადგილი ჰქონდა 8-დან 18 მარტამდე. კრონშტადტის კომუნა განადგურებულ იქნა, მაგრამ მან იმსხვერპლა აგრეთვე ათი ათასი რჩეული წითელარმიელი. მათ შორის დაიღუპა ბოლშევიკური პარტიის მეთავე ყრილობის თხუთმეტი დელეგატი.

ასეთი იყო საბჭოთა რუსეთის შინაური მდგომარეობა სწორედ იმ დღეებში, როცა მისი მეთერთმეტე არმია ჩვენს ქვეყანას იპყრობდა. ამ არმიასთან გამკლავების შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენია, რომ ლენინის მთავრობას შეძლებოდა დამატებითი მარტაფა ჯარების მოშვება.

საბჭოთა ხელისუფლება არანაკლებ გასაპიროში იყო უკრაინაში, სადაც „მანხონ ბანდები“, როგორც მათ ბოლშევიკები უწოდებენ, მოსვენებას არ აძლევდა.

თვით კავკასიაში საბჭოთა რეჟიმი დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. მართალია აზერბაიჯანი შინაური შეთქმულებით გასაბჭოვდა, მაგრამ დაშნაკების გავლენა დიდი იყო მოსახლეობაში საერთოდ, ხოლო სოფელი დაუმორჩილებელი. კავკასიის მთიანეთი მტრულად იყო განწყობილი ბოლშევიკებისადმი და მხოლოდ ნიშანს ელოდა რომ აჯანყებულყო. „კავკასიის ხალხები, იცით ალბათ, უკმაყოფილო არის მოსკოვის რეჟიმით, თუ ამდენ ხანს არ ამდგარან, ამის მიზეზი ვართ ჩვენ—მათ არ უტყურო მხარს და არ ვეცხმარებით“... ეუბნება ნოე ჟორდანიანა მოსკოვის ემისარს („ჩემი წარსული“. 175 გვერდი)

რაც შეეხება სომხეთს, რომელიც თავის ნებით გასაბჭოვდა, 1921 წლის თებერ-

მ ც ი რ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი დ ი დ ს ა კ ი თ ხ ე ბ ზ ე

1. აყრილი მთიანეთი

გაზეთ „კომუნისტში“ (14. 4. 79) დაბეჭდილია ცნობილი მწერლის და ჟურნალისტის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის სტატია: „სოფელი ღონიერია თუ კაცი გონიერია,“ რომელიც გვეტყობინებს აღმაშფოთებელ ამბავს საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ძალით აყრის და ბარში ჩამოსახლებისას. მოგვაქვს ზოგიერთი ადგილები ამ წერილიდან:

„ქართლის ცხოვრებაში“ სრულიად ნათლად არის მინიშნებული, რომ ბახტრიონის ბრძოლა 1659 წელს გაიმართა შირაქის საზამთრო საძოვრების გამო. შირაქი— ეს იყო ცხვარი და ძროხა, ხოლო ვისაც მეტი ცხვარ—ძროხა ჰყავდა, მისი ხმალიც უკეთესად სჭრიდა და ციხე—სიმაგრეც შეუფერილი ჰქონდა.

ამიტომ იყო, რომ ჩვენი მთიელები შეაწყდნენ ბახტრიონის გალავანს და სანამ მტერი არ შემუსრეს, სასთუმალი რა იყო, ფიცის კაცებმა არ იცოდნენ. ვანა მარტო მეჩვიდმეტე საუკუნეში, — ასე მუხლჩაუჭრეფლად იბრძოდა ქართველი კაცი, რომ — მთაში იყო თუ ბარში, ერთი ნაბდის გამო საძოვარიც კი მტრისათვის არ დაეთმო და არც უსარგებლოდ დაეტოვებინა.

მაგრამ დროთა განმავლობაში მოხდა ისეთი გაუგონარი ამბავი, როდესაც მთიელმა აკცმა თავისი საყვარელი შირაქი ასეთი ლექსით გაიმეტა:

„ოხრამც დარჩები, შირაქო,
 ძირიმც ჩავიდგა ზღვაშია!
 არცა იქ გამეხარება
 ჩემ წუთის ქვეყანაშია.
 მენ აქ რაისად წამუხ,
 რად აღარ მოგვკვი ფშავშია,
 იქ დავიმარხო ძმებთანა,
 იქ თავის მიწაწყალშია!
 გულდაგულ ამოვიკენსე,
 მიდგა ფეხები ბრალშია —

სილადის მაგიერადა
 სულ ცრემლი მიდგას თვალშია.
 ახლა არწივნი ზღუდობენ
 ფშავში ჩემს ნაბუღარშია.
 იქოურ ჩვეულებრივად
 ახლა აქ წავალ მთაშია,
 დავლიე მთელი ზაფხული
 სულ ვაის საუბარშია,
 ოხრამც დარჩები, შირაქო,
 ძირიმც ჩავიდგა ზღვაშია.“

რამ ათქმევინა ეს საშინელი, ჯოჯოხეთური წყევლა მთიელ კაცს, რამ შესძრა და გამწვარა მისი სული ასე უსახლდროდ?! კითხვობს მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

და თვითვე პასუხობს: „ბუღის მოშლამ, მთიელ კაცს ბუღე მოუშალეს, ადგილის დედას მოსწყვიტეს და იმ შირაქს, რომელსაც მანამდე ასე დანატრებული ეფერებოდა და ელოლიაებოდა, ახლა წყევლა—კრულვას უთვლის.— ცოტა ქვემოლ:

„უგზობაში მიკარგულ მთიანეთს ჯერ კიდევ ვერ მისწვდა ჩვენი დროის ყველა სიკეთე, ჯეროვნად ვერ ჩაება იმ დიდი ცხოვრების ფერხულში, რითაც სულდგმულობს მთელი ჩვენი ქვეყანა.

და ჩვენც სამწუხაროდ, მეტად იოლი გზა ავირჩიეთ ამ ისტორიული პრობლემის გადასაწყვეტად. მივაყენეთ მთას სატვირთო მანქანების ერთი გრძელი კოლონა და მთიელთა ოჯახები ბარში ჩამოვიყვანეთ.“ და ბოლოს:

„უკაცოდ და უპატრონოდ დარჩა არწივთა საბუღარი. თვალი გადაავლეთ ამ ვეება მთიანეთს — მითოვებულ სოფლებში: თითო — ოროლა კაცი ლანდივით გამოჩნდება ხოლმე.“

ბახტრიონის ომის გარდაც, ჩვენი ერის მთელი ისტორია უწყვეტი საბუთია იმის, რომ კავკასიის მთებმა შეიფარა და გადაარჩინა ქართული მოდგმა, ქართული ენა და ცივილიზაცია, ქართული ეროვნული სული, სამხრეთის, აღმოსავლეთის დასავლეთისა და ჩრდილოეთის გამძვინვარებულ დამპყრობლებისაგან, არა მარტო იმით, რომ მამაცი მთიელები მხარდამხარ იბრძოდნენ ბარის მოძმებთან, არამედ იმითაც, რომ ბარში ბძძოლის ველზე დამარცხებული ქართველობა მთებში იხიზნებოდა, იქ აფარებდა დროებით თავს და როცა რისხვიანი ღვარცოფი გადაივლიდა, ნელნელა უბრუნდებოდა ბარს და მტრისგან გადამწვარ სახლ—კარს; სოფელს, ქვე—



ყანას კვლავ აშენებდა. გავიხსენოთ მურვან კრუს, ლენგ თემურის, შაჰ აბასის ანკლდრე, შაჰის შემოსევები, თვით მოხუცმა ერეკლემ, კარწანისის ველზე დამარცხების შემდეგ, თვით მთას შეაფარა აღა-მაჰმად-ხანის ტყვეობიდან თავი რომ დაეღწია. ხოლო, სულ უკანასკნელად ისევ თუშ-ფშავ-ხევსურებმა შეიფარეს და შეინახეს საბჭოთა რუსეთის მპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმი, 1922-24 წლებში.

პოეტი გრიგოლ აბაშიძე ასე ახასიათებს მთის მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში:

„ ვით არ გვიყვარდეს მთები ჭაღარა,
ჩვენი უკვდავი ერის აკვანი,
მას, ვინც ამ მთებში ფუძე ჩაჰყარა,
ჩვენი ლექსი და ჩვენი თავყვანი.
დასაბამიდან მთის ზღუდე გვაკრავს,
მან დაიფარა ჩვენი მამული,
ქართველი ბარში რომ შლიდა
მზარ - მკლავს,
ფესვები ჰჭონდა მთაში გადგმული,

და ბარს რომ გლეჯდა უდაბნოს ქარი,
ყველა სიმაგრის დამღლეხელი,
ჩვენი სამშობლოს სიმტკიცის კარი-
მთა მუღამ იყო აუღებელი.
იქ იყო ჩვენი ფესვი მაგარი,
ჩვენი სიმტკიცე მთაში ეგახლა,
მთებით მაგარი,
მკვდრეთით აღმდგარი
კვლავ შენდებოდა ბარი ხელახლა. “

და დღეს ეს მთები, ჩრთილოეთიდან მოწოლილ რუსების შემაფერხებელი ბუნებრივი ჯებირი, დაუცვარიღებიათ მკვიდრი მოსახლეობისაგან. ავტომანქანების კოლონები მიუყენებიათ და ძალით მთის არწივები ჭაობიან ბარში, შირაქში თუ სხვაგან ჩამოუსახლებიათ. ვასაგებია, რომ ბევრი დაიღუპებოდა ამ გადმოსახლების შედეგად. ბარში როგორც კლიმატი, ისე შრომის პირობები ხომ მკვეთრად განსხვავდება მაღალ მთიანეთისაგან. ამიტომაც მოთქვამს და იწყებულა შირაქში ძალით ჩამოსახლებული მთიელი პოეტი, კ. ლორთქიფანიძის მიერ მოტანილ ლექსში.

დღეს თურმე საბჭოთა ხელისუფლება მიმხვდარა, რომ ამ თვითბურმა ღონისძიებამ დიდთ დააზარალა ქვეყნის ეკონომიკაც. მთა ხომ მესაქონლეობის კერა იყო და მთიელთა აყრით მესაქონლეობასაც მახვილი ჩაეცა. ეხლა ცდილობენ ხელახლა დაასახლონ მთა. იქა-აქ აშენებენ სახლებს, ეპატრიებთან ისევ დაუბრუნდნენ ყოფილი მთიელები მთას, მაგრამ ბევრიღა გადაარჩა მათგან ბარში ამ ოცი წლის განმავლობაში? ანდა ორჯერ აყრა და გადასახლება შეიძლება აიტანოს ხალხმა?

გატეხილი ბროლის ვაზის გამთელება შეიძლება?

2. საქართველო და საბჭოთა ასტრონავტიკა

1978 წელში საბჭოთა კავშირმა იზეიმა ასტრონავტიკის (დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე ფრენის) ოცი წლისთავი. რა მდგომარეობაშია ის დღეს და როგორია საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკა ამ დარგში?

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ოფიციალური განცხადებების გამარჯვებული ტონისა, წარმატება ამ დარგში არც ისე სპექტაკულარულია; 1958 წელს საბჭოებმა განახორციელეს პირველი კოსმოსური ფრენა დედამიწის ირგვლივ, რამაც დიდი სენსაცია გამოიწვია იმ დროს. ამერიკას კი მაშინ დაწვებულიც არ ჰქონდა. პრეზიდენტ ჯონ კენედიმ საბჭოების გამოწვევა მიიღო, ფეხზე დააყენა ამერიკის ასტრონავტიკის სამეცნიერო და ტექნიკური საზოგადოება ე. წ. N.A.S.A. რომლის პირველადი გეგმა თავლისწინებდა მთვარის დაპყრობას. ათი წლის განმავლობაში ამერიკამ შეძლო დაწვდოდა საბჭოთა ასტრონავტიკის მიღწევას, დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე ფრენისა და წავიდა გაცილებით შორს, რადგანაც მან განახორციელა კაცობრიობის ისტორიაში პირველი მოგზაურობა მთვარეზე; ხოლო ამჟამად ამერიკა ამზადებს ისეთივე სამოგზაურო ასტრონავტიკის განხორციელებას როგორც ეს წარმოებს ავიაციოში, ე.ი. ისეთი ასტრონავტის აგებას, რომელსაც შეეძლება რამოდენიმე მოგზაურობის განჭორციელება მთვარესა და დედამიწას შორის.

საბჭოთა ასტრონავტიკამ რამოდენიმე მარცხი განიცადა და დღემდე განუხორციელებელი დარჩა მთვარეზე ნამგალ-ჩაქუჩიანი წითელი სსრკ დროშის აღმართვა, მისი ასტრონავტიკ-



ბი მხოლოდ 250 კილომეტრის რადიუსით უტრიალებენ დედაშიწის.

უნდა აღინიშნოს რომ საბჭოთა ხელისუფლება არაფერს არ ზოგავს ასტრონავტიკის დაჩქარების განხორციელებაში, რომლის მთავარი მიზანია პოლიტიკურ-სტრატეგიული უპირატესობის მიღწევა ამერიკის წინააღმდეგ და არა მეცნიერება-ტექნიკის განვითარება.

საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, ქართველ ხალხსაც უსაზომოდ ყველფენ საბჭოთა ასტრონავტიკის განსავითარებლად, მაშინ როცა ოცი წლის თავზე, ათასობით შესრულებულ კოსმოსურ ფრენების შემდეგ, კოსმოსური ხომალდების პილოტები მუდამ და მხოლოდ სლაგები და განსაკუთრებით რუსები არიან. ამ უკანასკნელად საბჭოებმა ბულგარეთს და ბოლონეთს უწყალობა რუსებთან კოსმოსური თანაფრენის შესრულება, მაგრამ კავკასიის, ბალტიის და ცენტრალური აზიის მუშულმან ხალხების წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოთა კავშირის მცხოვრებთა 30% შეადგენენ, დღემდე გამორიცხული არიან. ეს ფაქტი არ შეიძლება სხვაგვარად აიხსნას თუ არა ხელისუფლების წინასწარ განზრახვლ რასისტული და დისკრიმინალური პოლიტიკა საბჭოთა კავშირის არასლავიანურ მოსახლეობის მიმართ. პოლიტიკა რომელიც განგებ ნებას არ აძლევს არარუს ერებს მეცნიერების და ტექნიკის უახლესი მიღწევების დაუფლებისას.

პოეტი ირაკლი ბაშიძე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ერთგული პროპაგანდისტი, ლექსსაც კი უძღვნის („ექსპრომტი პირველ ქართველ კოსმონავტს“) მომავალ ქართველ კოსმონავტს, მაგრამ საექვთა ის მოეწეროს თავისი პოეტური აღმადგენის განხორციელებას.


3. „სახალხო დღესასწაულები“

ამ უკანასკნელ ხანებში გახშირდა ვერედ წოდებული „სახალხო დღესასწაულები“: გარეჯობა 12 მაისს, მცხეთობა 15 ოქტომბერს, თბილისობა 28 ოქტომბერს და სხვა. ახა, სახალხო დღესასწაულების საწინააღმდეგო რა უნდა გვექონდეს. ჩვენს ხალხს ოდიფი შრომასა და ბრძოლასთან ერთად დღესასწაულებიც ჩვეულებად ჰქონიათ. დიდი ბაზრობები და დღესასწაულები საქართველოს ყველა კუთხეში და ქალაქ-სოფლებში იმართებოდა წელიწადში ერთხელ: სვეტიცხოვლობა, ალავერდობა, გიორგობა, მარიობა, ტეხისობა და სხვა და სხვა.

ამ დღესასწაულებში ეკლესიებს ცენტრალური ადგილი ეკავათ, საფუძვლად ხომ რომელიმე წმინდანის ღიძება ედგა. მღვდელი, დეკანოზი თუ ეპისკოპოსი პარაკლის გადიხნოდა, შემდეგ კი ხალხი თავის ნებაზე ატარებდა დროს. იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები, ცეკვები, სიმღერები, ლხინი და ქეიფი. ერთი წლის უნახავი ნათესავები, მოყვრები, მეგობრები და მეზობლები ერთმანეთს ხვდებოდნენ, ნათესაობას და მეგობრობას ამტკიცებდნენ. არჩევდნენ სასიძის და სარძოს. ყიდულობდნენ საჭირო საქონელს და ყიდდნენ თავიანთ მოწვეულ ჭირანხულს და სხვა და სხვა. ეს დღესასწაულები გამომდინარებდნენ ხალხის აუცილებელ საჭიროებისაგან და ტარდებოდნენ თვითშემოქმედების წესით და არა ხელისუფალთა წინასწარ შემუშავებული გეგმებით.

ესენი იყვნენ ნამდვილად ხალხური დღესასწაულები, ხალხისთვის და ხალხისმიერი. ამიტომაც მათ ყველა დროს გაუძღეს და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე წარმატებით მოაღწიეს. საბჭოთა ხელისუფლებამ კი ამ დღესასწაულებების სული, ეკლესიები დაწაგრია, მათი მსახურნი დაარბია და ამოწყვეტა, ხოლო დღეობებს ბრძოლა გამოუცხადა ათეიზმის სახელით. დღეს ჩვენს, საბჭოთა ხელისუფლება მიხედა, რომ დღესასწაულები საჭიროა ხალხისათვის, მაგრამ იმის მაგივრად რომ ხალხს მისცეს ნება ძველებურად და თავისგამოზე მოაწყოს, ის (ხელისუფლება) თავად აწესებს როგორც დღესასწაულებს ისე მათ ჩატარების წეს-რიგს; ამიტომ, ეს დღესასწაულები ტყუპის ცალივით ჰკვანან ოქტომბრის და პირველმაისობის დღესასწაულებს, როცა ხალხი ძალით გამოიყავთ ქუჩებში მხედრებივით ფეხშეწობილი, რომ ჩაუარონ მთავრობის ტრიბუნას სადაც ცენტრალური თუ რაიონული კომიტეტების მდივნები მათ მოუწოდებენ კიდევ მეტი და მეტი იშრომონ კრემლის ბატონების საამებლად. ასეთი დღესასწაულები ქართველი ხალხის საყვარელ დღესასწაულებად ვერ გახდებიან და ვერც დიდხანს იარსებებენ.

ცნობილია: კომუნისტური რელიგია, რელიგია უღვთობის. აღბად ამის გამო ისინი ძალიან ბაძავენ ეკლესიებს. ისიც ცნობილია, რომ ქრისტიანულმა ეკლესიამ ჩვენშიც და სხვაგანაც შეეგუა ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს. ადრე აკსებულა კეთილშეინდობილი დღესასწაულები ნელ-ნელა ქრისტიანულ დღესასწაულებად აქცია. ჩანს საბჭოთა ხელისუფალნიც ამ მოსაზრებით საქმიანობენ, მაგრამ მათ აკლიათ ეკლესიის მამეშის მოქნელობა და დამაჯერებლობა, ეკლესიის მამე-



ბი მხოლოდ სახარებით ხელში მიდიოდნენ ხალხთან დასაჯებლად. საბჭოთა ხელისუფლება კი ჯარსა და პოლიციას იყენებს. ჯარით და პოლიციით ღიახაც შეიძლება ხალხის დამოუკიდებლობა რომ ამით ვერც თავს შეაყვარებ და ვერც გულწრფელად აზიმიბ.

4. მართლაც იბრძოდნენ ნათელი მომავლისათვის?

ა. წ. 4 ნომბერს, გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილია შეცნობები კანდიდატ შ. ბერუ-აშვილის წერილი: „იბრძოდნენ ნათელი მომავლისათვის“, რომელშიც დიდი აღტაცებით მოთ-ხრობილია ბოლშევიკების გეგმები ოქტომბრის რევოლუციის ორი წლის თავზე საქართველოში საყოველთაო აჯანყების მოწყობის შესახებ; მათ ამით სდომიათ დენიკინისაგან შევიწროებულ საბჭოთა რუსეთისათვის დახმარება აღმოეჩინათ, რათა „საქართველო-დენიკინის საიმედო ზურ-გი გადაეცემათ მის საწინააღმდეგო ფრონტად“.

აჯანყების მთავარი შტაბი დაუპატიმრებიათ და საყოველთაო აჯანყება ბოლშევიკებს გა-დაუდევთ, მაგრამ ქართლის რიგ რაიონებში მაინც მომხდარა შეიარაღებული გამოსვლები ბოლ-შევიკების მეთაურობით. ბერუაშვილი აღწერს მუშების და გლეხების აჯანყებას ხაშურში, მე-ჯგირისხევში, ატენში, ახალქალაქში, ხოვლეში, ალში, გორში, სამხრეთ ოსეთში და სხვა ქარ-თლის ქალაქებსა და სოფლებში.

მე პირადად ამ აჯანყების შესახებ არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ სამხრეთ ოსეთ-ში მართლაც მომხდარა იმ დროს ბოლშევიკური გამოსვლები, არც სათანადო ოფიციალურ დო-კუმენტებზე მიმიწვდებდა ხელი. სამწუხაროდ დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობის მიერ გა-მოტანილი არქივი მიუწვდომელი იყო და არის დღემდე მთავრობის ირგვლივ მყოფ ვიწრო წრის გარეშე მყოფთათვის.

მე მაინც ეჭვი მეპარება, რომ ბოლშევიკებს ამდენი გავლენა ჰქონოდათ ქართლში, მაგ-რამ ბერუაშვილის ამ წერილის შესახებ ჩემთვის საკითხი სულ სხვაგანაა:

1919 წლის ოქტომბერ-ნომბერში, ქართლის მუშები და გლეხები როცა დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობას უჯანყდებოდნენ, ამით ისინი მართლაც იბრძოდნენ ნათელი მომავ-ლისათვის“, როგორც ამას წერს შ. ბერუაშვილი, თუ პირიქით, ბოლშევიკებისაგან გამბრვივებუ-ლები ჩადიოდნენ უპატიებელ ბოროტმოქმედებას საზოგადოდ სამშობლოსადმი და კერძოდ, ქარ-თველი მუშების და გლეხების მომავლისადმი?

შ. ბერუაშვილის წერილს ერთი ღირსება მაინც აქვს. იქ ნათლადა თქმული, რომ ბოლ-შევიკები ხალხს აჯანყებდნენ არა ქართველი მუშების და გლეხების ინტერესებიდან გამომდი-ნარე, არამედ საბჭოთა რუსეთის ინტერესების დასაცავად.

5. ფორმალიზმი

„ფორმალიზმი“ საშინელი სენი გამხდარა საბჭოთა საზოგადოების, მას დაუნდობელი ომი გამოუცხადა კომპარტიამ, კომკავშირმა და განათლების სამინისტრომ. იქნებ ვინმემ იკითხოს რა ჰქირაო ეს „ფორმალიზმი“. ლათინურ ლექსიკონებში ეს ნიშნავს ფორმისათვის გადაჭარბე-ბულ მნიშვნელობის მიცემას. საბჭოური ტერმინოლოგიით კი ის აღნიშნავს: „საქმისადმი უსულ-გულო და ზერეულ დამოკიდებულებას, ბიუროკრატიზმს, თვალის ახვევას და დაუდევრობას.“ რაც მთავარია, „ფორმალიზმი“ დამღუპველი ყოფილა საბჭოთა ახალგაზრდობის.

6. იძულებითი მუშაობა

23 იანვრის გაზეთ „კომუნისტში“ რ. კელიძის წერილი „არამი ლუკმა უგემურია“, ნა-თელს ფენს შრომის საბჭოთა მეთოდებს: ვინც არ მუშაობს (იგულისხმება, რომ სხვას არაფერს ართმევს) მილიცია ძალით ავზანის სამუშაოდ. თუ სამუშაოდან გამოიქცა და დაიქირეს, მაშინ მას უსჯიან იძულებით სამუშაო ბანაკებში მუშაობას.

7. რუსული ენა: ს ს რ კ ხალხთა მეგობრობის ენა

24 მაისს, ქ. ტაშკენტში გაიმართა სრულიად საქავშირო სამეცნიერო-თეორიული კონ-ფერენცია „რუსული ენა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ენაა.“



ლენინდ ბრენევა წერილით მიმართა კონფერენციას, რომელშიც სხვათაშორის ისიც არის ნათქვამი, რომ „რუსული ენის კარგად ცოდნა ყველა საბჭოთა ხალხმა ნებაყოფლობით მიიღო“ და რომ „ლენინის ოცნება—ისე მოხდეს, რომ ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს „საშუალება ჰქონდეს ისწავლოს დიდი რუსული ენა“,“ წარმატებით ხორციელდება.“

ჯერ ერთი, ბრენევი საქვეყნოდ ცრუობს როცა ავბობს „საბჭოთა ხალხებმა რუსული ენის კარგად ცოდნა ნებაყოფლობით მიიღო.“

მეორე, ჩვენ არ გგონია ლენინს ასეთი სიბრძნე ეთქვას, ხოლო ბრენევის მიერ მისი მოტანა ამტკიცებს, თუ ეს საჭირო იყო, რომ ის დიდი „დერეი მორდი“ ველიკორუსი შოვინისტია. როგორც ფედერალურ რესპუბლიკის მეთაურს, მას კონსტიტუციონალურად უფლება არ აქვს უპირატესობა მიანიჭოს საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა რომელიმე ენას. მეგრედა რატომ არის „დიდი რუსული ენა“ და სხვა ენები პატარები? უფრო მეტად სავალალო ისაა, რომ ამ უპასუხისმგებლო განცხადებას ქართული ოფიციალური პრესა დიდი აღფრთოვანებით ეხმაურება და ერთი პარტესტის ხმაც კი არსაიდან ისმის.

ამ კონფერენციაზე სსრ კავშის განათლების მინისტრმა, მ. ა. პროკოფიევმა განაცხადა: „მოკავშირე რესპუბლიკებში რუსული ენის შესწავლა უნდა დაიწყოს სკოლამდელ ასაკში და თანამედვერულად განვითარდეს განათლების სხვადასხვა ეტაპზეო.“ გარუსების ამაზე უკიდურესი ღონისძიება შეუძლებელია!

8. ასპირანტურაში ჩარიცხვისათვის

ჩვენ უკვე გამოვთქვით ჩვენი აზრი საქართველოს უმაღლეს სკოლებში მისაღებ აბიტურენტების შესახებ, რომლებსაც არჩევენ არა მხოლოდაკადემიური ღონის მიხედვით, არამედ აგრეთვე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პარტიულ და პროფკავშირის დახასიათებას, რაც საბოლოოდ ერთი და იგივეა.

1979 წლის 8 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნებულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის განცხადება 1979-80 სასწავლო წლისთვის ასპირანტურაში მიღების შესახებ. დიპლომის და მისი დანართის ასლის გარდა, შემსვლელებისაგან ითხოვენ კადრების აღრიცხვის ფურცელს, ავტობიოგრაფიას და ამონაწერს შრომის წიგნაკიდან. ამრიგად ცხადია, რომ ასპირანტურაში მოხვედრის შანსები პირველ რიგში აქვთ იმათ, ვისაც კარგი დახასიათება აქვთ წარმოების თუ დაწესებულების პარტიულ-პროფკავშირულ ორგანიზაციებისაგან, ე. ი. პარტიულ აქტივს.

ეს განცხადება აგრეთვე საინტერესოა მით, რომ: „ასპირანტურაში შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უფრო ენაში“. მაშასადამე, მომავალი მეცნიერი მუშაკებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებისათვის მთავარი მნიშვნელობა მშობლიური ერის ისტორიის და კულტურის ცოდნას კი არ აქვს და არც საკაცობრიო ისტორიას და კულტურას, არამედ ბოლშევიკების პარტიის ისტორიას, რომელიც ისევე ცვალებადია როგორც საპარის სილის გორები.

9. შევარდნაძე და შემოქმედების თავისუფლება.

რუსულმა ლიტერატურული კრიტიკის და ბიბლიოგრაფიის ყოველთვიურმა ორგანომ „ლიტერატურნოე ობოზრენიემ“, ივლისის ნომერში გამოაქვეყნა ინტერვიუ ელუარდ შევარდნაძესთან. „ლიტერატურნოე ობოზრენიე“, დაარსებულია ს. კ. პ. ც. კომიტეტის მიერ მის შემდეგ, რაც მან მიიღო დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“ და მას ევალება ამ გადაწყვეტილების გატარების ვანზორცილება მიუღ საბჭოთა ქვეყანაში. იმის შესამოწმებლად თუ შევარდნაძე-კობახინის საქართველოში როგორ ხორციელდება ეს „ისტორიული დადგენილება“, „ლიტერატურნოე ობოზრენიე“ წარმომადგენელმა კითხვები დაუსვა საქ. კ.პ. პირველ მდივანს. ეს კითხვა-პასუხები გადმობეჭდა ქართულმა გაზეთმა „კომუნისტმა“ 7 სექტემბრის ნომერში. მას უკავია გაზეთის ერთი გვერდი და ნახევარი და სავსეა საბჭოებისათვის ჩვეული სიტყუე-ტრაბახით. ის იქადის, რომ ბევრი ნაწარმოები იქმნება რომელიც წარმატებით პასუხობს ს.კ.პ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, მაგრამ ერთი ნაწარ-

მოებიც ვერ დაუსახელებია, რომელიც დროს გადაურჩეს სულ რამოდენიმე ათეულ წელიწადში შიშ კი.

ამ ინტერვიუდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო შევარდნაძის შემდეგმა განცხადებამ: „ჩვენ მომზად ვართ სტილით სხვადასხვაობისა. მხარს ვუჭერთ მხატვრული მიდგომისა და ლიტერატურაში ცხოვრების გააზრების უმდიდრეს მრავალფეროვნებას, ოღონდ ერთი პირობით: თუ ავტორი და ნაწარმოები პროგრესულ იდეალებს ამკვიდრებენ, თუ მათი მიზანია რეალობა აღქმის თანამედროვე კაცობრიობის ჰუმანიტარული მისწრაფებანი, თუ ისინი გვეხმარებიან ვაშენოთ ცხოვრება, საზოგადოება, ადამიანთა ურთიერთობა ახალ, კომუნისტურ საწყისებზე“.

კომენტარის გარეშეც ყველაფერი ცხადი და ნათელია, აქ იოტისოდენა ადგილიც კი არ აქვს დათმობილი თავისუფალ შემოქმედებას. არც რომანოვების თვითმპყრობელობამ, არც ფარანების ეგვიპტემ, არც მონგოლთა ნოინები, შაჰები, ზონთქრები, ხალიფები, არც აზიის სხვა სატრაპების ისტორიებმა არ იციან ხელოვნების და შემოქმედების ასეთი პარტიული საღებავით შებოჭვა. და თუ მაინც აქა-იქ ახერხებს ზოგიერთი შემოქმედი ინდივიდუალური ბექდის დაღმსულ საინტერესო ნაწარმოების შექმნას ეს ნამდვილი სასწაულია, რომლის საიდუმლოებაც მხოლოდ ისევ საბჭოთა მოქალაქეს შეიძლება გააჩნდეს.

მამულს განშორებული

ცნობები საქართველოს ქრისტიანულ ეკლესიაზე

სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია II მოგზაურობა ქენევაში

1979 წლის 9 სექტემბერს, სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II ესტუმრა ქენევის, რათა მონაწილეობა მიეღო ეკლესიების მსოფლიო საბჭოს მუშაობაში, როგორც მისი ერთ-ერთი პრეზიდენტი.

ქენევაში მისი ყოფნის დროს, რომელმაც გასტანა 16 სექტემბრამდე, მისი უწმინდესობა თავისი თანმხლებლებით ეწვია მსოფლიო პატრიარქიის მართლმადიდებელ ცენტრს შამბეზიში, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II ჩამოსვლასთან დაკავშირებით, კვირას 9 სექტემბერს, მართლმადიდებელი ცენტრის წმ. პავლეს ეკლესიაში გადახდილ იქნა პარაკლისი. ცენტრის დირექტორმა, მიტროპოლიტ დამასკინოს ტრანსუპოლისმა ილია II მიმართა სიტყვით, სადაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ილია II სტუმრობას, „ჩვენ გვსურს მოგესალმით როგორც ახლად არჩეულ პრეზიდენტს მსოფლიო საეკლესიო საბჭოსი და გამოვთქვათ მსოფლიო საპატრიარქოს სიხარული იმის გამო, რომ მართლმადიდებლობა მსოფლიო ეკლესიების საბჭოში წარმოდგენილია თქვენი ღირსების და სახელის შქონე პიროვნებით. თქვენი დასწრება, როგორც მართლმადიდებლობის წარმომადგენელი, ეკლესიების მსოფლიო საბჭოს ანიჭებს მსოფლიო მნიშვნელობას.“ შემდეგ მან აღნიშნა ის უძველესი სულიერი კავშირი, რომელიც აერთიანებს კონსტანტინეპოლის და საქართველოს ეკლესიებს: „მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული ხდება ჩვენი ორი ეკლესიის შერწყმა და ხიდებიდან რომლებიც ჩვენ გვაკავშირებს უმოთაგვსია ერთი ნერვი ეკლესიისა; ეს არის: ბერობა, სიყვარული და ხილვა სულიერი სიღამაზისა.“ ამის შემდეგ კათალიკოს ილია II წარმოთქვა საპასუხო სიტყვა.

ოფიციალური სადილის დროს, რომელიც იქნა გამართული სრულიად საქართველოს კათალიკოსის პატრიარქთან, განმეორებით მიხდა სიტყვათა გაცემა სადაც კიდევ ერთხელ აღინიშნა ქართული ქრისტიანული ეკლესიის მიერ დაკავებული მნიშვნელოვანი ადგილი მართლმადიდებელ წმინდა ეკლესიების სისტემაში და მისი ურყევი ერთგულება მართლმადიდებელ სარწმუნოებისადმი.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II ვიზიტი პარიზში

ა. წ. 9 თებერვალს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი ილია II და მადლყოვალდუსამღვდელოესი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ნიკოლოზი, ეწვივნენ პარიზს. კვირას 10 სექტემბერს, მისმა უწმინდესობა ილია II დეკანოზ მამა ილიასთან ერთად წირა პარიზის წმ. ნინოს საყდარში. წირვის შემდეგ ილია II წარმოთქვა გულბოლი სიტყვა, სადაც დიდი სიხარული გამოსთქვა იმის შესახებ, რომ მას მიეცა საშუალება აქ, პარიზის წმ. ნინოს ეკლესიაში ეწირა მის თანამემამულეებთან ერთად.

მან ილაპარაკა ქართველი ადამიანის ქრისტიანულ და ეროვნულ გრძობაზე, ქართველი ერის ერთობაზე ეკლესიასთან, მის ძლიერ სულზე და ქართული ქრისტიანული ეკლესიის სიძველეზე: „ქართველ ერს ახასიათებს ორი რამ: პირველი, მისი ეროვნული გრძობა და მეორე, მისი რწმენა, მისი ქრისტიანობა. ეს ორივე გრძობა ჩაქსოვილი იყო ქართველი ადამიანის სულში, ქართველი ადამიანის ბუნებაში და ეს ორი გრძობა ისე მტკიცედ იყო გაერთიანებული ქართველებში, რომ ის გვიცავდა ჩვენ მთელი საუკუნეების განმავლობაში..... როდესაც ჩვენ უყურებთ ჩვენ წარსულს, იმ ავბედობას რაც შემგვლდა ქართველ ერსა და საქართველოს, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ღმერთი არ ყოფილიყო საქართველოს მფარველი და ქართველი ადამიანის მფარველი, ეს ორი გრძობა რომ არ ყოფილიყო ქართველ ადამიანში, ალბათ დღეს აღარ იქნებოდა ქართველი ადამიანი, აღარ იქნებოდა ქართული ენა.“

„ჩვენი ერი მუდამ ერთად იყო ჩვენ ეკლესიასთან- განაგრძობს კათალიკოსი- ჩვენი ეკლესია არის ერთ-ერთი უძველესი ეკლესია, ჩვენ მივიღეთ ქრისტიანობა იმ დროს როცა სუფევდა სული, როცა არ იყო ასეთი გარეგნული ფორმა, მაგრამ სული ძლიერი იყო ბიზანტიის იმპერიაში. ეს ძლიერი სული შერჩა ქართველ ერს და ეს ძლიერი სული დღესაც გვასულდგმულებს და მომავალშიც მოგვეცეს ჩვენ იმდენ ენერჯიას, რომ ჩვენ დავიცვათ ჩვენი მამული, ჩვენი ენა, ჩვენი რწმენა. ქართველი ერი და ეკლესია ისევე განუყოფელი იყო როგორც განუყოფელია იესო ქრისტეს ღვთაებრივი და კაცობრივი სული და სწორედ ამან შეგვიწარმოა ჩვენ ჩვენი ქართული სული.“ ამის შემდეგ მან ილაპარაკა საქართველოს ეკლესიის დღევანდელ მდგომარეობაზე, ეპარქიებზე, ეკლესიის ადმინისტრაციულ საკითხებზე, სასულიერო სემინარიაზე, ეკლესიის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე სამეცნიერო-სასულიერო დარგში. მისი მოგზაურობის შესახებ კონსტანტინეპოლში და მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოს პირველთან შეხვედრაზე.

ილია II წმ. ნინოს ეკლესიას გადასცა საქართველოდან ჩამოტანილი ქართველი ხელოვნის, კ. გურულის მიერ გამოქვედლი მაცხოვრის ხატი ეკლიანი გვირგვინით. ამასთან დაკავშირებით კათალიკოსმა აღნიშნა: „ეკლიანი იყო საქართველოს წარსული, ჩვენი ბედი, მაგრამ იესო ქრისტეს გზა ეკლის გვირგვინით და გოლგოთით არ დამთავრებულა, იესო ქრისტეს გზა დამთავრდა აღდგომით, სასიხარულო აღდგომით და ამალღებით და მე ვფიქრობ რომ ასეთივე ნათელი, ასეთივე ბრწყინვალე იქნება საქართველოს ბედი, საქართველოს ეროვნება აღდგომა, საქართველოს ეროვნება ფერისცვალება.“

ამის შემდეგ, პატრიარქმა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით დააჯილდოვა პარიზის წმ. ნინოს ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ილია მეღია საქართველოს საპატრიარქოს წმ. ნინოს ორდენით პირველი ხარისხისა და სიგელით.

საფრანგეთში მცხოვრებ ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელობისა და მათი სამშობლოსთან კავშირის განმტკიცებისათვის ბ-ნი ვიქტორ ხომერეიკი, წმ. ნინოს პირველი ხარისხის ორდენით და სიგელით და წმ. ნინოს ტაძრის სამრევლო ცხოვრებაში თავდადებული მოღვაწეობისათვის ბ-ნი ალექსი კობახიძე და ბ-ნი ტარიელ ზურაბიშვილი საქართველოს საპატრიარქოს წმ. გიორგის პირველი ხარისხის ორდენებით და სიგელებით. აგრეთვე სამრევლოს დაურობა საქართველოდან ჩამოტანილი წმ. ნინოს პატარა ხატები და გულსაბნევი ჯვრები.

ილია II შემდეგ, სიტყვა წარმოსთქვა წმ. ნინოს ეკლესიის დეკანოზმა მამა ილიამ მან აღნიშნა მისი უწმინდესობის ვიზიტის და საღვთო ლიტურგიის ერთობლივი წირვის მნიშვნელობა აქაური მრევლისათვის და ხაზი გაუსვა იმ სულიერ კავშირს, რომელიც პარიზის წმ. ნინოს ეკლესიას აქვს საქართველოს ეკლესიასთან: „მართალია ჩვენ ვართ და დავრჩებით მსოფლიო პატრიარქის იურიდიქციის ქვეშ, მაგრამ ჩვენი მრევლის დამაარსებელნი: სახელოვანმა ელჩმა აკაკი ჩხენკელმა, თავადმა ილიამ და დედმამიანმა, ლევან ზურაბიშვილმა და სხვებმა, ჩვენი სამრევ-

ლოს წესდებები ჩაწერეს ჩვენი სულიერი კავშირი საქართველოს დედა ეკლესიასთან, ჩვენ ცეცხვორებით ავრთვეთ ადგილობრივ ფრანგულ ქრისტიანობის ურთიერთობაში. ნაგრძნობს მამა ილია, — ჩვენ აქ ვბოულობთ სულიერ გამდიდრებას და ჩვენ იმედი გვაქვს, ჩვენი გამოცდილება გავუზიაროთ ჩვენს სამშობლოს, როცა და რა გზებითაც ღმერთი ამას ინებებს.“

სალამოს, 10 თებერვალს მისი უწმინდესობა ილია II გაემგზავრა სტრასბურგს, სადაც მიიღო მონაწილეობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მუშაობაში. საიდანაც პარიზს კვლავ დაუბრუნდა 15 თებერვალს.

შაბათ დღით, 16 თებერვალს, კათალიკოსი, მსლბლბებით, ეწვია სოფელ ლევილს, ინახულა და დალოცა ქართველ მამულიშვილთა საფლავები, დაათვალიერა ქართული ეკლესია ისაილია ქალბატონ ნამეტია გოგუაძესთან. ამავე დღის ნაშუადღევს, პარიზის შვედურ ეკლესიის სალონში, ილია მეორემ მიიღო პარიზის წმინდა ნინოს მრევლი და მათ გაუმასპინძლა საქართველოდან ჩამოტანილი სასმელებით და სანოვაგით. 18 თებერვალს ილია მეორე შეხვდა ბატონ ფრანსუა ჟისკარ დ'დესტენს და პარიზის მთავარეპისკოპოსს, კარდინალ მარტის. 20 თებერვალს კი გაბრუნდა საქართველოში.

ქ. არტემიდა

„ვის უხმობს ნიკორწმინდის ზარი“

ასეთი ქვესათაური აქვს 4 სექტემბრის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის, თ. მეტრეველის აღმფთვებულ წერილს, რომლის მთავარი სათაურია: „ბაბილა მოსათუთე ხელში.“ სადაც „ბაბილა“ რელიგიურად, ხოლო „მოსათუთე“ ახალგაზრდობა.

წერილში აღწერილია ნიკორწმინდის განთქმული ეკლესიის შესახები ამბები. ეს ამბები დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ რამოდენიმე თვის წინ, ადრე გაუქმებული და დაკეტილი, ნიკორწმინდის საეპისკოპოსო ტაძარი კვლავ მოქმედი გამხდარა. ახალ კათალიკოსს ილია II ზქ ეპისკოპოსი და მღვდელი გაუწესებია, რასაც თავისი ნაყოფი გამოუღია და რასაც ასე აღუღელებია თ. მეტრეველი.

რამ აღაშფოთა ამგვარად „ახალგაზრდა კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი?

„შაბათი საღამოა—წერს თ. მეტრეველი—კვირაძალი, ნიკორწმინდა ზარების გუგუნით შეგვხვდა. სამრეკლოზე 15-16 წლის ყმაწვილები ასულიყვნენ და ისინი უხმობდნენ მორწმუნეთ თუ სერისმონყარულთ.“

„— ეს წირვის ნიშნად კი არ რეკავენ, ისე ერთობიან ბავშვები, — ისევე დაგვამშვიდა კომკავშირის ამბროლაურის რაიკომის მეორე მდივანმა ა. აბუთიძემ.

მაშ, ასე: ღმერთთან თამაშის პირველი სურათიც ვიხილეთ ნიკორწმინდაში — სამრეკლოზე ბიჭები ზარებს არისხებდნენ....

თუმცა არა, თამაშად იგი ზოგიერთებს მიიჩნდათ. სულ მალე გაირკვევა, რომ თამაში აქ არაფერ შუაშია: ყმაწვილები იმ დღეს ისევე როგორც წინა დღეებში, ერთგულად ასრულებდნენ მღვდლის თხოვნას და წირვის დაწყებას იუწყებოდნენ.

ტაძარში მრავლად შეკრებილიყო ხალხი, მათ შორის ახალგაზრდობა, სასკოლო ასაკის ყმაწვილები ჰარბობდნენ. სანთლების ასანთები ადგილიც აღარსად დარჩენილიყო. „დაი შუშანიკი“ ოთხი ხელთ ყიდდა სანთლს — თვითონ რომ ვეღარ ასწრებდა, მხარში 18-20 წლის ქალიშვილი ამოუყენებინა და ის ეხმარებოდა. ეს ქალიშვილი ნიკორწმინდელი მზია დონხაძე აღმოჩნდა. კომკავშირის რაიკომში კი გულდაჯერებით ამბობდნენ, ჩვენებურს წირვაზე ვერაგის ნახავთ, სანთლით რომ ეძებოთო. სანთლით ძებნა აკი არც დაგვირგებია, სანთლებთან იყო ერთგულ მსახურად ნიკორწმინდელი ქალიშვილი.“

ამის შემდეგ გასაკვირი აღარ არის საქართველოს კომკავშირის ორგანოს „ახალგაზრდა კომუნისტის“ შემოღება. წერილიდან ჩანს: საწინააღმდეგო ზომებიც მიუღიათ; ფეხზე დაუყენებიათ ამბროლაურის კომკავშირის რაიკომი, სოფლის აგიტ-კოლექტივის ხელმძღვანელობა, მაგრამ მათთვის სასურველი შედეგი, როგორც ეტყობა, ვერ გამოუღია. ნიკორწმინდის ზარებს მაინც არისხებენ და წირვაზე სულ უფრო მეტი და მეტი ახალგაზრდობა დადის. პროვოკაციისათვისაც მიუმართავთ. რაც ეკლესიაში წირვა დაიწყო, უკვე უცნობ პირებს ორჯერ გაუტყებიათ ეკლესიის კარები და გაუძარცვათ, აქედან გამომდინარე, კორესპონდენტი მოითხოვს ეკლესია ჩამოერთვას მრევლს და მღვდელს და კვლავ გადაეცეს რაიონის კულტურის განყოფილების მიერ დანიშნულ დარაჯს.

სახალხო უნივერსიტეტი ნიკორწმინდაში

1979 წლის 22 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტში“ შემდეგი წერილია დაბეჭდილი: „სახალხო უნივერსიტეტების ოჯახს კიდევ ერთი შეემატა. საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის, რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და რაიონის საზოგადოების ინიციატივით სოფელ ნიკორწმინდაში, რომელიც ცნობილია ქართული არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლით, გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტის რექტორია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ნ. ლანდია, პრორექტორები-პროფესორი რ. მეტრეველი, მწერალი გ. ვაჩაიძე და საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის მეორე მდივანი გ. ვაჩაიძე.

უნივერსიტეტის პირველ მეცადინეობას დაესწრნენ სოფელ ნიკორწმინდის მშრომლები, რაიონის აქტივის, რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები.“

ამრიგად ჩვენი შიში გამართლდა: ნიკორწმინდის ტაძარი ისევ დაიკეტა მორწმუნეთათვის.

მოკლე ცნობები ნიკორწმინდაზე

ნიკორწმინდაში დგას ქართული არქიტექტურის ჩინებული ძეგლი და საეპისკოპოსო კათედრალური ეკლესია, აგებული იმავე ბაგრატ მესამის მიერ, რომელმაც ქუთაისის ღვთისმშობლის დიდი ტაძარი ააგებინა. ბაგრატის ტაძრის აგება 1003 წელს დამთავრდა. ნიკორწმინდის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიისა კი 1009 წელს. ერთი ქართველი მეცნიერის დადგენით, ისე, მისი აგების დამთავრების წლებად ითვლება 1010-1014 წ.წ.

აი ორიოდ ცნობაც: ნიკორწმინდის საეპისკოპოსო შედიოდა მთელი რაჭა და საეკლესიო ადგილ-მამული და ყმები სხვაგანაც გააჩნდა. ცნობილია „ნიკორწმინდის სიგელი“, ანუ „დაწერილი“ მეთერთმეტე საუკუნისა, რომელსაც ივანე ჯავახიშვილმა (და სხვებმაც) - დიდ ღირებულებას ანიჭებდნენ რა - სპეციალური გამოკვლევები უძღვნეს, აღმოაჩინა და დაბეჭდა თავის „ქრონიკებში“ თედო ჟორდანიამ. ნიკორწმინდის საეპისკოპოსო 1820 წელს დახურა რუსის მთავრობამ, მას შემდეგ რაც დიდი საეკლესიო აჯანყება ჩააქრეს. აქ აქურთხეს მეფედ ვახტანგ დავითის-ძე ბაგრატონი და სურდათ მისი ქუთაისში ჩაყვანა და ტახტზე დასმა, მაგრამ მარცხამის საშუალება არ შექმნა. დავითი ბრძოლაში მოიკლა, ვახტანგი ემიგრაციაში გავიდა (საფრანგეთში!). უკანასკნელი ეპისკოპოსი სოფრონოსი, (წულუკიძეთა საგვარეულოდან) ქუთაისში გადაიყვანეს და ნიკორწმინდას კი განაგებდა დეკანოზი კობახიძე და რუსების მიერ დანიშნული „ბლაგოჩინი“. ბოლოს, 1928 წელს კომუნისტებმა სულ დახურეს ეკლესია და მისი უკანასკნელი მკვდელი სპირიტონ კანდელიაკ-კობახიძე გააძევეს იქიდან. ახლა, 1979 წლის ზაფხულში, ახლად კათალიკოს ილია მეორის ღვაწლით, ეპისკოპოსიც დასვეს (სახელად ამბროსი) და მღვდელიც განუწყესეს. ეს მართლაც დიდი ამბავია, თუ კვლავ არ გააუქმებს.

ამბროსი არის არამართო „ნიკორწმინდელი“, არამედ „მარგვეთელიც.“ მას ორი წოდება აქვს: „ნიკორწმინდელი და მარგვეთელი ეპისკოპოსი“.

„მარგვეთი“ იგივე არგვეთია, ანუ დღევანდელი ზემო იმერეთი. ჯობდა „მარგველი“ ეწოდებინათ „მარგვეთელის“ მაგივრად, მაგრამ ესეც კარგია და ასედაც ეწოდებოდა იმ ძველ ჩინებულ კუთხეს, რომელსაც ათ საუკუნეზე მეტის განმავლობაში მართავდნენ ბაღუაშ-ლიპარტის-ძენი და იყვნენ რაჭა-ლეჩხუმის მმართველ ბაღუაშ-კახაბერისძეთა სახლის შვილნი. ამიტომ იყო ისტორიულ წარსულში ძალიან ახლო ურთიერთობაში რაჭა-ლეჩხუმ-არგვეთი, ანდა თუ ვიტყვით არგვეთ-რაჭა-ლეჩხუმი. სასიხარულოა, რომ ისტორიის ანარეკლი ახლაც გაცოცხლდა. ეტყობა ილია მეორე ისტორიაში ჩახედულია და მას ანგარიშს უწყევს თავის საქმიანობაში.



„ჯვარი ვაზისა“

რადიო „თავისუფლების“ გადაცემიდან შევიტყვეთ, რომ აპრილში თბილისში, საქართველოს ქრისტიანულ მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ექვსთვიური ორგანოს, „ჯვარი ვაზისას“ პირველი ნომერი, მისასალმებელია.

„სულ არაობას ცალუდელა ხარი სჯობიაო“ ნათქვამია, თორემ სრულიად საქართველოს მართლმადიდებელ ქრისტიანულ ეკლესიის საკათალიკოსოს, რომ მხოლოდ ექვსთვიური პერიოდული ორგანო ჰქონდეს, საგოდებელი უფროა ვიდრე სალხინებელი.

გ. რაჭველი

„ რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს კ ო ს მ ო ლ ო გ ი ა ს “ შ ე ს ა ხ ე ბ

1979 წლის აპრილში თუ მაისის დასაწყისში, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს გიორგი თევზაძეს გამოუცია შესანიშნავი ნარკვევი „რუსთაველის კოსმოლოგია“ რომელიც სამწუხაროდ ჯერ ხელთ არ მაქვს. სამაგიეროდ ჩემი განკარგულებაშია აღრთოვანებული რეცენზიები: პროკოფი რატიანის, 4 მაისის გაზეთ „კომუნისტში“ და გურამ დანჯაკიძის, სექტემბრის კრებულ „მნათობში“. ამავე „მნათობის“ შექვესე ნომერში (ივნისი 1979) პროფესორ აკაკი შანიძის მეცნიერული წერილი „ასტრალური მოვლენები ვეფხის ტყაოსანში“, რომლის დასკვნაშიც ის ბრძანებს:

„ გ. თევზაძის დებულება, რომ შ. რუსთაველი გეო-ჰელიოცენტრისტია და რომ მან ამ მხრივ რამდენიმე საუკუნით უსწრო თავის თანამედროვეებს, ეს ისეთი მშვენიერი და მომხიბვლელი ამბავია, რომ იგი სასიამოვნოდ უღერს ქართველი კაცის ყურისთვის და აღვივებს მისი ეროვნული სამაყის გრძობას. კერძოდ, ჩემთვისაც მეტად სასიამოვნო იქნებოდა, რომ ეს დებულება დამტკიცებული ფაქტი იყოს, მისაღები არა მარტო გრძობისთვის, არამედ გონებისთვისაც. მართალია ვეფხისტყაოსანი პოეზიაა და არა მეცნიერული გამოკვლევა, რომ შიგ ყოველი დებულება დამტკიცებას მოითხოვდეს, მაგრამ გ. თევზაძის აღწერილი საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია და სათანადო დასკვნა იმდენად საპასუხისმგებლო, რომ უფლება გვაქვს მოვსთხოვოთ მეტი საბუთიანობა, რომ მისი დასკვნები სხვებისთვისაც მისაღები იყოს, ოღონდ უნდა გულახდილად აღვიარო, რომ უაღრესად კმაყოფილი ვიქნები, თუ შემდგომი კვლევა-ძიების წყალობით ჩემი ეჭვი უსაფუძვლო აღმოჩნდება და უდიდესი მგოსანი შოთა რუსთაველი დაიმკვიდრებს უდიდესი მეცნიერის სახელსაც“.

მსკოვანი მეცნიერის, დიდი გრამატიკოსისა და რუსთაველოლოგის ამ სიტყვებიდან ნათელია, რომ თუმცა მეცნიერულად ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩიითვალოს საბოლოოდ დამტკიცებულად, მაინც გ. თევზაძის ნარკვევს „რუსთაველის კოსმოლოგიაზე“ აქვს დიდი მნიშვნელობა, როგორც ეროვნული ისე საკაცობრიო.

ჩვენ სრულებით თანახმა ვართ ბატონი აკაკი შანიძის მაგრამ განცვიფრებული ვართ იმ ამბით, რომ არც აკადემიკოსი აკაკი შანიძე, არც გურამ დანჯაკიძე, არც პროფ რატიანი და უნდა ვივლუსხმით, არც გ. თევზაძე ერთი სიტყვითაც არ ახსენებენ აწ განსვენებულ ლადო ბელიაშვილს, რომელმაც 30 წლის წინად პარიზში გამოცემულ წიგნში „რუსთაველის და დანტეს იღუპალი“, წამოაყენა და დაამტკიცა თითქმის ისევე როგორც გ. თევზაძემ, რუსთაველის შეხედულებები სამყაროს აგებულებაზე, მზის სისტემაზე, პლანეტების მოძრაობაზე, მათ გამომწვევ მიზეზებზე და სხვა.

რა თქმა უნდა, ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამოყენება და მისი ზოგიერთი ახსნა დოქტორ გ. თევზაძეს და ლადო ბელიაშვილს განსხვავებული აქვთ. მაგალითად პლანეტების რიგის საკითხი, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, სამყაროს რუსთაველური თეორია. გ. თევზაძის მიხედვით რუსთაველი გეო-ჰელიოცენტრისტია, ე.ი. ტიხო ბრაჰეს მსგავსად, რომელიც 400 წლის შემდეგ რუსთაველისა ცხოვრობდა და რომელმაც პირველად შექმნა ეს თეორია, ვეფხისტყაოსანის მიხედვითაც მზის ირგვლივ ბრუნავენ წრედზე ყველა პლანეტები გარდა მთვარისა და მთვარე მზესთან და მის



ეროვნული
დემოკრატიული
მოძრაობა

ირგვლივ მბრუნავ პლანეტებთან ერთად ბრუნავენ დედამიწის ირგვლივ წრებზე, რომლებსაც ტრშიაც დედამიწა უძრავად მდებარეობს. ლ. ბელიაშვილის „რუსთაველის და დანტეს იღუმალის“ მიხედვით კი რუსთაველისთვის სამყაროს ცენტრია მზე და დედამიწა, როგორც დანარჩენი ხუთი პლანეტა, მთვარესთან ერთად ბრუნავს მის ირგვლივ. ე.ი. კეპლერის მიერ აღმოჩენილ კანონების მსგავსია. ამგვარი განსხვავებები სხვაც ბევრია და მისი ჩვენება საინტერესო იქნებოდა, გ. თევზაძის ნაშრომი რომ ჩვენს განკარგულებაში იყოს, მაგრამ ის რაც ვიცით საკმარისია და აკმაყოფილებს ამ ძირითად საკითხებში გ. თევზაძის დასკვნები იგივეა რაც ლ. ბელიაშვილის; კერძოდ ორივე რომტიცებს, რომ რუსთაველმა სწორად იცოდა მთვარის, მზის და პლანეტების ხილული მოძრაობა, მთვარის ფაზები, მზისა და მთვარის ბუნიობა, რომ მზეა სინათლის, სიცოცხლის და მოძრაობის წყარო და სხვა და სხვა. ამის გარდა ორივე მკვლევარი ამტკიცებს, რომ რუსთაველმა არა მარტო იცოდა ყველაფერი ეს, არამედ იყო ასტრონომი, მკვლევარი-მეცნიერი და რადგანაც ქრისტიანულ ეკლესიის შიშით არ შეეძლო თავისი აღმოჩენის აშკარა სწავლება, მან მიმართა საშუალებას ვეფხისტყაოსნის პოემაში დამოუღწეად გაეძღვინებინას.

სწორედ ამ ძირითადი დამთხვევების გამო, მეცნიერული ეთიკა მოითხოვდა, რომ დოქტორ გ. თევზაძეს თავის წიგნში მოეხსენებია ამ დარგში მისი წინამორბედის დამსახურება, და აღნიშნა ის ნაკლებიც, რომლებიც ბელიაშვილის „რუსთაველის და დანტეს იღუმალს“ შეიძლება ახსიათებდეს.

ზოგაერთმმა შეიძლება თქვას, რომ ლ. ბელიაშვილის წიგნს „რუსთაველის და დანტეს იღუმალს“ შეიძლება არ იცნობენ საქართველოში. მართალია, ფართო შიგთხედისათვის ის შეიძლება უცნობია, მაგრამ რუსთაველოლოგები მას იცნობენ, რადგანაც მის შესახებ საკმარისად ვრცელი ცნობებია გამოქვეყნებული 1957 წელში, გაიოზ იმედაშვილის მიერ გამოცემულ „რუსთაველოლოგიკური ლიტერატურა“-ში, რომელშიც აღნუსხულია ყველაფერი, რაც კი მიუღეს მსოფლიოში დასავლეთი ვეფხისტყაოსანზე და მის ავტორზე 1712 წლიდან 1957 წლამდე. დაუჯერებელია, რომ მას არ იცნობდეს ისეთი რუსთაველოლოგ როგორც პატივემული აკაკი შანიძეა. მას როგორ ახსნათ მათი ასეთი სიჩუქე? ნუთუ იმის გამო რომ „რუსთაველი და დანტეს იღუმალს“ ავტორი სამშობლოდან დევნილი, უცხოეთში მცხოვრები ემიგრანტი იყო?!

ლადო ბელიაშვილის ნათელი სხონა ჯერ კიდევ მოლად არ გამჭრალა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებში. ჯერაც დავიწყებას არ მისცემა მისი ერთთავად მოცინარი კეთილი სახე, უღროდ გათვრებული თავით. ის იყო გულკეთილი და საყვარელი მეგობარი, მღვივ პატრიოტი, რომლისთვისაც ქართული კულტურა უზრალო თავშესაქცევი რამ კი არ იყო, არამედ სულიერი სახარდისი იქნებოდა, როგორც სხულისთვის წყალო და პაეირი. სამშობლოში მას არ დასცალდა ბოლომდე მიყვანა თავისი სწავლა-განათლება. გადმოხვეწილობაში, მძიმე ფიზიკურ შრომასთან ერთად ის ძალიან ბევრს კითხულობდა და როგორც ჩანს სერიოზულადაც აზროვნებდა. ამ კითხვის მრავალფეროვნება და მოცულობა ჩანს მის წიგნში „რუსთაველი და დანტეს იღუმალი“.

1953 წელს, ლ. ბელიაშვილმა „სოსიეტე სავანის“ დარბაზში გააკეთა პირველი საჯარო მოხსენება, მეორე 1954 წელში. სულ განზრახული ჰქონდა ოთხი მოხსენების გაკეთება და ოთხ წიგნად გამოეცემა. 1956 წელში მან გამოსცა პირველი წიგნი „რუსთაველი და დანტეს იღუმალი“, ხოლო დანარჩენი განუხორციელებელი დარჩა, მისი ტრადიკულად სიკვდილის გამო. ვფიქრობ მისმა ძმამ, მწერალმა აკაკი ბელიაშვილმა, რომელიც პარიზს ეწვია ძმის საფლავის მოსახილველად, სამშობლოში თან წაიღო ლადოს ხელნაწერები.

მოხსენებების გარდა, ლ. ბელიაშვილი მისი ნახულობდა და ებაასებოდა ყველას ვისაც ვიცნობდით მეტად ესმოდა ასტრონომია და ვეფხისტყაოსანი. ის ჩემთანაც ჰქონდა არაერთი შეხვედრა-საუბრები ამ საგანზე. ის მეტად გატაცებული იყო თავისი აღმოჩენებით, ყველას აზრს სიამოვნებით ისმენდა, მაგრამ მტკიცედ და შეუზრევლად იღვა თავისაზედ. როგორც ყველა მეცნიერების „პროფანს“ სჩვევია, ის მას გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მეტყველდებოდა არა მარტო ყოველგვარ თეოლოგიას, არამედ ფილოსოფიასაც, რაც მისთვის სინონიმი იყო ტყულისი. მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით, ის მაჰმადიანობას უფრო მაღლა აყენებდა ქრისტიანობაზე. ქრისტიანობა მისთვის საშუალო საუქუნეების ინკვიზიცია იყო და დარწმუნებული იყო რომ ქართული ქრისტიანული ეკლესიაც მიმართავდა ინკვიზიციის პრინციპსა მიმართ, რამაც

საპარიზოლრო პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

30183

ეროვნული
დემოკრატიული

განაპირობა რუსთაველის მიერ ვეფხისტყაოსანში კოსმოლოგიური შეხედულებების მოცემამ, ამბობდა ის.

ლ. ბელიაშვილის ნაშრომში არის არა ერთი უზუსტობა, მეცნიერულად დაუსაბუთებელი მტკიცებები. წიგნს არ გააჩნია არც მეცნიერული მეთოდი, არც კვლევის აპარატი, მიუხედავად ამ ნაკლებობის მისი წიგნი უეჭველად ყურადსაღებია, ის დაეწიების კუთხით ჩაგდების ღირსი არ არის. მასში დაყენებული საკითხები უაღრესად ორიგინალური და საინტერესოა და მნიშვნელოვანი, როგორც რუსთაველოლოგიის ისე ზოგადად ქართული კულტურის და ცივილიზაციის საკითხებისათვის. ეს რომ ასეა, ამას ამოწმებს თვით ლოქტორ გიორგი თევზაძის ახალი შრომაც და მის ირგვლივ გამოწვეული საყოველთაო ინტერესი.

გიორგი წერეთელი

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი

აკადემიკოსი რევაზ გამყრელიძე

1978 წელს ნიუ იორკში გამოიცა მათემატიკოს რევაზ გამყრელიძის წიგნი, „ობტიმალური მართვის საფუძვლები.“ რ. გამყრელიძე ლექციებს კითხულობს თბილისის და მოსკოვის უნივერსიტეტებში. ამავე დროს ის არის მთავარი რედაქტორი მოსკოვში გამოშვებულ ჟურნალ „მათემატიკა“-სი და ასევე მთავარი რედაქტორი ჟურნალ „პროგრესი მათემატიკაში“, რომელიც ნიუ იორკში იცემა.

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე

გაზეთ „კომუნისტის“ ცნობის მიხედვით (4.9.79), თამაზ ვალერიანის ძე გამყრელიძე (რევაზის ძმა) არჩეულია დიდი ბრიტანეთის აკადემიის უცხოელ წევრად. თქმა არ უნდა, ეს ამბავი წარმოადგენს ქართველი მეცნიერის დიდ მსოფლიო აღიარებას. უკვე 1978 წელში თამაზ გამყრელიძე არჩეული იყო ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად. აკადემიკოსი თ. გამყრელიძე, გიორგი წერეთლის სიკვდილის შემდეგ განაგებს საქ. მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს.

აკადემიკოსი რაფიელ დვალის 70 წლისთავი

რაფიელ რაფიელის ძე დვალი გახლავთ საქ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქ. მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი და დრეზდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

პროფესორ ლევან რჩეულიშვილის 70 წლისთავი

პროფესორ ლევან რჩეულიშვილს 70 წელი შეუსრულდა თებერვალში, ის გახლავთ თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის და თეორიის კათედრის გამგე და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. სხვათაშორის ლ. რჩეულიშვილი ივანე ჯავახიშვილის დისწულია.

ნანტი თბილისის ძმობილია

გერმანიის ქალაქ საარბრუენის შემდეგ, ამ წლის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი თბი-



ლისის და ქ. ნანტის ოფიციალურ დაძმობილებას. ამგვარად შეიქმნა სამკუთხოვანი დაძმობილებების მაგალითი, თბილისი-საარბრუკენი-ნანტი.

თბილისი-საარბრუკენის მეგობრობას უკვე თავისი ისტორია აქვს და კულტურულ ხასიათის მნიშვნელოვან გაცვლა-გამოცვლით ხასიათდება. ვიმედოვნებთ, რომ იგივე გზით წარიმართება თბილისი-ნანტის ურთიერთობაც.

ნანტელებმა მდინარეზე ახლად აგებულ ხიდს „თბილისი“ უწოდეს და მის საზეიმო გახსნაზე მოიწვიეს თბილისის და საარბრუკენის ქალაქის ოფიციალური წარმომადგენლები. თბილისიდან დელეგაციას მეთაურობდა თბილისის დეპუტატთა საბჭოს აღმსაკომის თავჯდომარე გურამ გაბუნია. 24 მარტს მოხდა თბილისის სახელობის ხიდის გახსნის ზეიმი, რომელსაც მოყვა სამი დაძმობილებული ქალაქის წარმომადგენლების საზეიმო ხელის მოწერა დაძმობილების აქტზე.

დაძმობილების ზეიმი ნანტში ჩატარდა გულთბილად და ნამდვილ მეგობრობის ვითარებაში. მრავალ ბანკეტებზე წარმოითქვა საინტერესო სადღეგრძელოები..., მაგრამ აქაც ვერ ავდლით რუსი „ძმების“ „ხიტრობას“. ხიდს წარწერა ორ ენაზე აქვს: ფრანგულად და რუსულად.

აქედან თავისუფლად იგულისხმება ნანტი საფრანგეთის ქალაქია, თბილისი კი რუსეთისა. ამ ამბავმა სრულებითაც არ აღაშფოთა „ამხანაგი“ გაბუნია.

მსოფლიო ფიზიკოსები თბილისში

სექტემბრის მეორე ათდღიურში, თბილისში უნივერსიტეტის საკრებულოში ჩატარდა მსოფლიო ფიზიკოსთა სხდომები თემაზე: „ნახევარგამტარები და მონათესავე მასალები რადიაციულ ფიზიკაში.“

საბჭოთა საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარე და მასპინძელი იყო საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ელეთერ ანდრონიკაშვილი.

--- --- --- --- ---

ავგისტოში გამოიცა გურამ ფანჯიკიძის ახალი რომანი „აქტიური მზის წელიწადი“.

--- --- --- --- ---

58 წლის გარდაიცვალა გივი რაქდენის ძე ხუციშვილი. განსვენებული იყო ფიზიკის პროფესორი და საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დასაფლავდა 11 ავგისტოს საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

--- --- --- --- ---

3 ივლისს, 67 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი გეოგრაფი საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრი თეოდანე ფარნას ძე დავითაია.

--- --- --- --- ---

გამოჩენილ მოქანდაკეს მერაბ ბერძენიშვილს 50 წელი შეუსრულდა. მისი შედეგებია: „გორგი სააკაძე“, კასპში, „შინმოუსვლელთა დედები“ მარნეულის გზაზე, „ჯარისკაცის მამა“ გურჯაანის მთაზე, „მუზა და მედეა“ თბილისში.



ინგლისურ-ქართული ლექსიკონი

ოქტომბრის დამდევს, სამშობლოში გამოცემულა პირველად ინგლისურ-ქართული ლექსიკონი და-ძმა თამარ და ისიდორე გვარჯალაძისაგან. ლექსიკონი შეიცავს ორმოც ათას სიტყვას.

ჩვენ რა თქმა უნდა, მივესალმებით ამ მოვლენას, მაგრამ არ შეიძლება მწუხარებით არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მსოფლიოში ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული და საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი ენის ლექსიკონი მხოლოდ დღეს იცემა და ისიც მხოლოდ ორმოცი ათასი სიტყვის რაოდენობით. დღევანდელ მსოფლიოში ლექსიკონებს აღარ ცემენ თითოეული პირები, არამედ მეცნიერთა ჯგუფები, რომელშიც იგულისხმება ლინგვისტი, გრამატიკოსი, ისტორიკოსი, ლიტერატორი და სხვა.

ჩვენ ვიცნობთ პატივცემულ ისიდორე გვარჯალაძის და აწ განსვენებული ივ. მაქავარიანის მიერ შედგენილ ფრანგულ-ქართულ ლექსიკონს, რომელიც ძალიან ზევრი უზუსტობით ხასიათდება. ეს საყვედური კი არ არის ავტორების მიმართ, არამედ საქ. მეცნიერებათა აკადემიისადმი, რომელიც სათანადოდ არ ზრუნავს უცხო ენების ლექსიკონების გამოცემისათვის. იქნებ ისინი უძლური არიან, რადგანაც „ხაზინი“ რუსები ნებას არ აძლევენ? მაშინ საკითხი სულ სხვა სიბრტყეში უნდა დავაყენოთ და მეცნიერებათა აკადემიას მოქალაქეობრივი გამბედაობა უნდა ვუსაყვედუროთ, რადგანაც არცერთ შემთხვევას არ უშვებენ საჯაროდ ზოტბა რომ არ შეასხან „პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას მეცნიერების და კულტურისადმი დიდი ზრუნვის გამოჩენის გამო.“

აკადემიკოს გიორგი წერეთლის 75 წლისთავისთვის

ოქტომბერში შესრულდა მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერის აკადემიკოს გიორგი წერეთლის დაბადების 75 წელი.

გ. წერეთელი იყო შესანიშნავი ფილოლოგი და ლინგვისტი. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა საქ. მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც ის იყო სიკვდილამდე, ხოლო სიკვდილის შემდეგ ინსტიტუტი ატარებს მის სახელს. გ. წერეთელი იყო საქართველოს და საბჭოთა კავშირის აკადემიის ნამდვილი წევრი და ითვლებოდა საბჭოთა სემიტოლოგიის აღიარებულ მეთაურად.

გ. წერეთლის მეცნიერულმა შრომებმა: „არმაზის ბილინგვა“ (1941), „არმაზული წარწერა მითრიდატე იბერიელის ხანისა“ (1962), „ქართული წარწერები პალესტინაში“ (1960), „მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა“ (1958), „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“ და სხვა. მას მიაჩნებოდა გამოჩენილი მსოფლიო მეცნიერის სახელი, რომლის დასტურიც იყო მისი არჩევა დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის სამეფო სააზრო საზოგადოების საპატიო წევრად და პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოების საპატიო წევრად.

აკადემიკოსი თ. გამყრელიძე გიორგი წერეთელზე ამბობს: „გ. წერეთელი განეკუთვნება იმ ქართველ მეცნიერთა და მოღვაწეთა წყებას, რომელთაც მეცნიერებაში გადალახეს საკუთრივ ეროვნული საზღვრები, თავიანთი შემოქმედების ზოგადმეცნიერული ღირებულებისა და მნიშვნელობის გამო ფართო ასპარეზზე გავიდნენ და ამით ეროვნულ მეცნიერებას საკავშირო და მსოფლიო მეცნიერებაში განსაკუთრებული აღვნიღ დაუმკვიდრეს და საყოველთაო აღიარება მიუპოვეს. სწორედ ეს არის გიორგი წერეთლის დამსახურება ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის წინაშე.“

69 წლის სახელოვანი მეცნიერი გარდაიცვალა 1973 წლის 9 სექტემბერს, ხანმოკლე და მიძიმე ავადმყოფობის შემდეგ.

თბილისი: არაცნობიერების ცენტრი

ოქტომბრის პირველ რიცხვებში თბილისში შეიკრება მსოფლიო მეცნიერთა სიმპოზიუმი, რომელმაც განიხილა არაცნობიერების პრობლემა.

როგორც ცნობილია საბჭოთა არაცნობიერების მეცნიერებას საფუძვლად უდევს თბილისის



უნივერსიტეტის ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია და ალბათ ამაღლებულია ნაპირობა თბილისში ამ სიმპოზიუმის მოწყობა.

სიმპოზიუმს მასპინძლობდა აკადემიკოსი ფრანგიშვილი, რომელიც დირექტორია საქ. მეცნიერებათა აკადემიის არაქნობიერების ინსტიტუტის და აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. წინასწარ გამოიცა სამტომეული, რომელშიც შევიდა მსოფლიოში დღემდე ამ დარგში გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი წიგნების შინაარსი და ის იყო სიმპოზიუმის დებატების ამოსავალი მასალა. სამტომეულის შედგენის ავტორებია: ა. ფრანგიშვილი, ა. შეროზია და ფ. ბასიანი.

სიმპოზიუმის დებატების შეჯამება კი უნდა გამოიცეს მეოთხე ტომად. სიმპოზიუმის დღეებს დაემთხვა პროფესორი დიმიტრი უზნაძის მემორიალის საზეიმო გახსნა თბილისის უნივერსიტეტის ეზოში, რასაც ქართველების გარდა ბევრი უცხო სტუმარიც დაესწრო.

1979 წლის 28 ოქტომბერს, 91 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი პოეტი და დრამატურგი ალექსანდრე (სანდრო) შანშიაშვილი და პირველ ნომებერს დასაფლავდა დიდუბის მწერალთა პანთეონში.

განსვენებულის ორიგინალურ შემოქმედებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია პიესები: „არსენა“, „უგვირგვინო მეფენი“, „ბერღო ზმანია“, „გიორგი სააკაძე“ და „კრწანისის გმირები“.

ენციკლოპედიის ახალი ტომი

ნომბრის შუა რიცხვებში გამოვიდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მეოთხე ტომი. ის შეიცავს 5.161 ტერმინ-სტატიას.

გრიგოლ წიგნთელი

ა და მ ი ა ნ ე ბ ი და წ ი გ ნ ე ბ ი

„საზიარო პოეზია“ — „*Poemes a Deux*“

ამ სათაურით 1979 წლის სექტემბერში, ჩვენს ღარიბ ემიგრანტულ წიგნის სამყაროს შემატა ირენ და გიორგი ყიფიანის ორენოვანი, ქართულ-ფრანგული ლექსების წიგნი.

აზრობრივი თვალსაზრისით მე ვარჩევდი წიგნის ფრანგულ სახელწოდებას, რადგანაც ამ წიგნში დაბეჭდილი ლექსები საზიარო კი არ არის ირენ და გიორგი ყიფიანის, არამედ თითოეულ მათგანის კერძო საკუთრება.

წიგნი ლამაზად და მდიდრულადაა გამოცემული ისე რომ ბევრ კლასიკოსსაც შემურდებოდა ჩვენს სამშობლოში. „საზიარო პოეზიის“ პირველ ნაწილში წარმოდგენილია გიორგი ყიფიანის 70 ლექსი ქართულად, მეორეში ირენის ხუთი ლექსი ფრანგულად, რომელსაც მოყვება გიორგის ექვსი ლექსი ასევე ფრანგულად. ბოლოს 70 გვერდი უკავია იმ გამოძახილებს, რომლებიც გიორგი ყიფიანს მიუღია მის მიერ სხვა და სხვა დროს გამოქვეყნებულ ლექსთა წიგნების შესახებ. თვით გ. ყიფიანის პოეზიის განყოფილებაში 18 ფოტოპორტრეტი და სურათია გაბნეული. იქნებ ზოგიერთი მათგანი პოეზიის ამ წიგნისათვის უადგილო იყოს, მაგრამ ეს დიდი ცოდვა არ არის. ამ წიგნის მთავარი და მთავარი ხომ პოეზიაა და ჩვენც მთავარი ყურადღება წიგნის ამ ნაწილს უნდა მივაქციოთ.

პირველ რიგში მე მივესალმები ირენ ყიფიანის ორივე ფეხით ფრანგულ პოეზიის წიაღში შებრძანებას. მისი ლექსები უპრეტენზიო, უბრალო და სადაა, და იქნებ სწორედ ამის გამოც საცნაურდება მისი დიდი ქალური გრძობიერება და თანდაყოლილი ნიჭი. განსაკუთრებით მოსაწონია „ბალადა მთავარის შესახებ“.

გიორგი ყიფიანის ლექსები დათარიღებულია 1957-79 წლებით. უმრავლესობას უკვე იცნობს მეოთხეული „კავკასიონიდან“ და სხვა გამოცემებიდან. უმეტესობა მაინც დაწერილია 1973 წლის

შემდეგ, წელი როცა გ. ყიფიანმა გამოსცა ამის წინა ქართული ლექსების წიგნი „პოეზიისა და სიციცხლის ვაზი.“ ამრიგად შეგვიძლია ვიმსჯელოთ პოეტის აღმა თუ დაღმა სწავლასა და სახებ. ჩემის აზრით არც ერთსა აქვს ადგილი და არც მეორეს, არამედ სწორხაზოვნებასთან გვაქვს საკმე და ამით ეს ამტყუნებს ყველა მათ, ვინც ამტკიცებს, რომ 30 წლის შემდეგ პოეტების მუზა დაღმა – დაღმა ეშვებაო.

ლოგილის შატოს სურათებმა, იქ პოეტის ბინის ხილვამ, სავარძელში განცხრომით მკლარმა პოეტის სურათმა, თავის „გუგუსთან“ ერთად, უცხო მკითხველში შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება თითქოს გ. ყიფიანის ცხოვრება გადმოხვეწილობაში სულ შატოებში და ფუფუნებაში გატარებულიყოს. სინამდვილეში კი პირიქით იყო და სწორედ ამაშია პოეტ გ. ყიფიანის დიდი მიღწევა და ღირსება. ადგილი არ იყო მის პირობებში ოჯახის შექმნა, შვილის გამოზრდა და ამავე დროს შინაგანი მოთხოვნების – პოეზიის კერპის წინაშე მსხვერპლის გაღების – დაკმაყოფილება. ამას უეჭველად ესაპიროებოდა დიდი შინაგანი წვა და ენერგია. მას რომ ეს ორივე უხვად გააჩნდა ამის მოწმეა მის მიერ გამოცემული ექვსი ლექსების წიგნი. ვილაპარაკოთ უკანასკნელზე. ჩემთვის უდავოა: მისი ავტორი ჭეშმარიტი პოეტია, აქვს დიდი პოეტური გრძნობიერება, აქვს უნარი ეს მისი განცემები ქალაქზე გადაიტანოს და გაუზიაროს მის მკითხველებს. მისი უზალო მეგობრობის გამოხმატველი კარგი ლექსებია: „პოეტის მწუხრი“, „ღევიან ზურაბიშვილის ხსოვნას“ და „სიმონია ბერევიანის ხსოვნას.“ ამათშივე ჩანს აგრეთვე დიდი უნარი პორტრეტების ერთი ხელის მოსმით მოხაზვისა. მოსაწონი ლექსებია: „სოფელი“, „პარიზი“, „საშიშროება“, „ეგროპას“ მეორე მუხლი საუცხოოა: „ფრთხილად ეგროპა! თავზე გადავს წითელი დვეი, რომლის მუტელში მრავალია პატარა ერი.“ „ბარტყო“ შესანიშნავი იქნებოდა სასვენი ნახევები, რომ თავის ადგილას იყვნენ დასმული. „დრო“ ყოველმხრით გაპართული ლექსია. ამათ ხაზს ვესვამთ, რადგანაც სამწუხაროდ აზრობრივად, ენობრივად და გრამატიკულად უნაკლოდ დაწერილი ლექსები იშვიათია გ. ყიფიანის პოეზიაში. ყველა ლექსები, რომ ამ მხრით განვიხილოთ, ჩვენ აქ ამის ადგილი არ გვაქვს და არც საჭიროდ მიმაჩნია. მოვიტანთ მაინც რამოდენიმე მაგალითს: „ხმა განკითხვისა“ – ში ასეთი კარგი ლექსია ვაფუქებულ: „....არ გვექონდა ნება მანდ გვეცხოვრა, რადგან გიყვარდი. შესვლად ღმერთო სიყვარულისთვის ვინც დაგვიტნო სიციცხლის ვარდი.“ „შესიცილე ღმერთო“ როგორ შეიძლება. აღამიანი სციოდავს და არა ღმერთი. დავეუშვათ, რომ ღმერთიც სციოდავს, მაშინაც ლექსს აზრი აღარ აქვს. „შესიცილეს“ ადგილას რომ იყოს „შერისხე“ მაშინ ლექსი გამართული იქნებოდა. ამავე ლექსში აგრეთვე „რადგან გიყვარდი“ კი არ უნდა იყოს, არამედ „რადგან გიყვარდი, „დაგვიტნო“ კი არა „დაგვიტნო“. ისეთივე აბრუნდების მაგალითია ლექსი „ხელოვნება“, რომელსაც გ. ყიფიანი ხელნაწერის ფოტო-ასლის სახით გვათავაზობს და სწორედ ამიტომ უნდა იყოს: „უცნაურო ხელის ვნებავ ვინ შეგარქვა ხელოვნება!“ როგორ უნდა გავიგოთ აქ „ხელის ვნება“? რა კავშირი აქვს მას „ხელოვნებასთან? ლექსის მიხედვით იგულისხმება, რომ ხელოვნება წარმოდგება ხელის და ვნების შეერთებისაგან. სინამდვილეში კი „ხელოვნება შექმნილია ხელოვნებისგან, რომელსაც ემატება ხელობის გამსაზღვრელი „ობა“, ისევე, როგორც მეძროხე-დან წარმოდგება მეძროხობა, მებაღედან მებაღეობა და სხვა ამისთანები. ამავე ლექსში წერტილ-მძიმის შემდეგ მოდის: „მთის მწვერვალი, ზღვითა-ზღვარი, ფერთა ჩქერის ოკიანე ოცნებათა ნასიზმარი...“ რაც უშემასმენლოდ უაზრობაა საერთოდ, „ოცნებათა ნასიზმარი“ აბდა-უბდაა, ხოლო ოკიანე ზემო იმერულია და გ. ყიფიანი ვთავაზობდა არ არის ლიტერატურულ ქართულში რომ გააბატონოს. ამ სანიშნულო ლექსში სხვა აბრუნდების მოტანაც შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია. უაზრობის კიდევ ორი მაგალითი: „სიკვილის სამშობლო არა აქვს – სიკვილი სამშობლო არის.“ (სიმონ ბერევიანის ხსოვნას), აქ პირველი ნახევარი კარგია, მეორე კი აბსურდობა. როგორ შეიძლება სიკვილი იყოს სამშობლო? „....პოეზიაში მქონდეს გრძნობა გულზე მაღალი“, ამბობს პოეტი გ. ყიფიანი, მაგრამ გული ხომ გრძნობის სინონიმია და, როგორ შეიძლება გრძნობა გულზე მაღლა დააყენო? გულის ადგილას რომ გონება ყოფილიყო მაშინ შაირი აზრიანი იქნებოდა.

შეცდომებს ადგილი აქვთ ზმნების ხმარებისას, განსაკუთრებით პირველ პირში. მაგალითად „უთხრა“ „გუთხრა“-ს ადგილას, „დაუწერო“ „დაეუწერო“-ს მაგივრად და სხვა არაერთი.



ბოლოს გვიდა შეგვხვთ „წლების“ საკითხს. მხოლოდითში არის წელი, მრავლობითში წლები. წლების გაწევა წლებად დაუშვებელია. თუ ლექსის რიტმი აუცილებლად ამას მოითხოვს, პოეტს ებატება ერთხელ ენის წესს გადაუხვიოს, მაგრამ გიორგი ყიფიანი სულ მუდამ წლებს ხმარობს და არასოდეს წლებს. ის ისე დაბეჯითებით და გამუდმებით ხმარობს ამ დამახინჯებულ სიტყვას, რომ მიმბაძველებიც კი გამოუჩნდნენ ემიგრაციაში.

დასკვნა: „სახიარო პოეზია“ ამტკიცებს უკვე მიღებულ აზრს: გ. ყიფიანი არის დაჯილდოებული პოეტური ნიჭით. მისი პოეზია არ არის თავშესაქცევი, გასართობად საკითხავი. ის ემსახურება მეგობრობის, მამულიშვილობის, წრფელი სიყვარულის და საერთოდ კეთილობის გაღვივებას, ერთი მხრით, ყოველგვარ ბოროტების და უკუღმართობის დაგმობას, მეორე მხრით. ესენი ამალღებენ, აკეთილშობილებენ ადამიანის სულს.

გ. ყიფიანი მთავარ ყურადღებას უთმობს ლექსის რიტმსა და რითმს, მაშინ, როცა მისი ლექსები მოიკოჭლებენ გრამატიკულად, ენობრივად და აზრობრივად. ბევრი ამ ხარვეზის თავიდან აცილება შეიძლებოდა მას, რომ რიგეანი რედაქტორ-გამომცემელი ჰყოლოდა, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ გ. ყიფიანი პოეტიცაა, რედაქტორიც, გამომცემელიც და ასოთამწყობიც. ეს კი ყოველთვის ხელს არ უწყობს იმ ქვეშაირტ პოეზიას, რომლის უზადო მსახურიც მას გულწრფელად სწავია.

პოეზიის ქაშნიკი

დ ა მ ა რ ც ხ ე ბ ა მ ა რ თ ლ ა ი ყ თ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ?

(გაგრძელება მიეჭვეს გვერდიდან)

ვალში აჯანყდა და დაამხო საბჭოთა ხელისუფლება. აი რას ამბობს ამის შესახებ მიუნენ-ში არსებული სომხური საკითხების ინსტიტუტის დირექტორ ელუარ ოვანესიანი: 1921 წლის 14 თებერვალს „სამშობლოს გადარჩენის კომიტეტმა“ მოუწოდა სომეხ ხალხს აჯანყებისაკენ. აჯანყება ერთდროულად უნდა დაწყებულიყო მთელ სომხეთში 18 თებერვალს. აჯანყება მართლაც მოხდა დანიშნულ დღეს, საბჭოთა ხელისუფლება სომხეთში ჩამოგდებული იქნა, წითელმა არმიამ უკან დაიხია, ბოლშევიკი ხელმძღვანელები კი გაიქცნენ. სომხეთში ხელისუფლება გადავიდა სამშობლოს ხსნის კომიტეტის ხელში. 45 დღის განმავლობაში სომხეთში არ არსებობდა საბჭოთა ხელისუფლება და სამშობლოს ხსნის კომიტეტმა გადადგა დიპლომატიური ნაბიჯები დაადგა რა არა პრორუსულ, არამედ ანტირუსულ ორიენტაციის გზას. მხოლოდ სამ აპრილს წითელმა არმიამ ისევ დაიპყრო ერევანი და ახლა საბჭოთა სომხეთის ისტორიკოსები და პოლიტიკური მოღვაწეები 1921 წლის თებერვლის სახალხო აჯანყებას უწოდებენ „თებერვლის ავანტიურას“.

პარაღოსია, რომ სწორედ ამ დროს მთავრობა საქართველოში ხმას ავრცელებდა: „საბჭოთა სომხეთის ჯარები გვესხმიან თავს“-ო.

დაბოლოს ერთი საკითხიც განვიხილოთ, მოულოდნელ თავდასხმას დიდი მნიშვნელობა აქვს ომის ბელზე, ამიტომ საჭიროა დაისვას კითხვა: საბჭოთა რუსეთის ჯარების თავდასხმა საქართველოზე 1921 წელში იყო მოულოდნელი? ამის პასუხის დადარებით იძლევა დამოუკიდებელ საქართველოს მეთაური ნოე ჟორდანიანი იმავე „ჩემი წარსული“-ში:

„ერთ დღეს ის(გაბო ხუნდაძე) თვითონ ჩამოვიდა მოულოდნელად და დაწვრილებით გვიამბო. ამჟერა იყო მოსკოვის განზრახვა. დავფაცურდით, თავდაცვის საბჭო დაეაარსეთ და შეუდგით მზადებას ჩუმად, არავის გაეგო რაშია საქმე, ეს საიდუმლოება საჭირო იყო, რომ ხალხში პანეკა არ გამოეწვია და მორალური კრიზისი არ შეეგქნა. საბჭოს დაარსება მოხდა 11 ნოემბერს. ამ დროს მაშასადამე უკვე ვიცოდით მოსკოვის განზრახვა.“ მთავრობის თავმჯდომარემ აგრეთვე იცოდა მტრის გეგმები: „გეჰონდა ცნობა, რომ პირველი შემოტევა დაიწყება ბორჩალოს საზღვრებიდან, წერს იქვე ნ. ჟორდანიანი, და მას გამოაცხადებენ აჯანყებად: ამ ნაირათ, მთელ ომს მოსკოვი ევროპაში გამოიტანს შინაურ ამბობხებად და მით ხელს დაიბანს.“ ცოტა უფრო ქვემოდ ნ. ჟორდანიანი ბრძანებს: „მოხდა როგორც ველოდები: 11 თებერვალს „აჯანყდა“ ბორჩალოს „სომხები“, გარკვეს ჩვენი ჯარი, დაატყვევეს ბევრი. ერთი სიტყვით ცნობილი მოულოდნელი სამარცხვინო დამარცხება!!! („ჩემი წარსული.“ გვ.173 და 176).

დასკვნა: 1921 წლის თებერვალ-მარტში თვით საბჭ. რუსეთში უაღრესად მწვავე ეკონომიური კრიზისია. როგორც ქალაქების ისე სოფლების მოსახლეობის უმეცყოფილება

ბოლშევიკურ მთავრობისადმი ზენიტშია. ადგილი აქვს სერიოზულ აჯანყებებს გლენგინისა და კრონშტადტის კუნძულის მეზღვაურებისას. ლენინის მთავრობის მთელი ყურადღება, ძალა და ენერჯია მოზილიზებულია შინაურ კრიზისის დასამორჩილებლად. მას აგრეთვე არ შეიძლებოდა საქართველოს წინააღმდეგ გამოეყენებია კავკასიის სხვა ხალხები. ასეთ პირობებში შეუძლებელია კრემლს მრავალრიცხოვანი არმიები გამოეგზავნა საქართველოს ფრონტზე. ამავე დროს, ლენინს არ შეეძლო ხანგრძლივი ომი ეწარმოებია საქართველოში, რადგანაც ეს მომავლენიერი იქნებოდა მისი პროლეტარული რევოლუციის პროპაგანდისტის მთელს მსოფლიოში და განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში, რომლის პროლეტარიატის მხარდაჭერის დიდი იმედიც მას ჰქონდა.

ასეთ პირობებში, მე დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დამარცხება სრულებითაც არ იყო აუცილებელი, თუნდაც იმ შეიარაღების პირობებში, რომელიც მას იმ დროს გააჩნდა. დამარცხების მთავარი მიზეზები სულ სხვა სიბრტყეში უნდა ვეძებოთ.

გიორგი ქართველი

ლ ე ვ ა ნ ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი ს გარდაცვალების 5 წლისთავი

მამულიშვილობის მაგალითი

ლევან ზურაბიშვილის გარდაცვალებას მე ვიგონებ განსაკუთრებით დღეს ქართულ კოლონიაში არსებულ სულიერ-პოლიტიკურ შერყეულ ვითარების გამო განსაკუთრებული მწუხარებით. ლევანი ქართულ პოლიტიკის ასპარეზზე გამოვიდა პირველად, და მეტად აქტიურად, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რომლის დროს მას ხშირად ჰქონდა მწვავე უთანხმოება ქართულ პოლიტიკის წინა დროის ხელმძღვანელებთან. დროთა ვითარებაში, ეს სიმწვავე შენედა და ლევანის საერთო, სოლიდარულ პოლიტიკის წარმოების შეგნება გაიზარდა, რასაც მოყვა მისი, ლევანის ფართო შედეგიანი საერთო საქმისათვის მეტად სასარგებლო მოღვაწეობა. მე პირადათ მასთან დავემყარე მეტად გულწრფელი და სანდო ურთიერთობა. განსაკუთრებით დიდ პატივს ვცემდი ლევანის მტკიცე, ყოველგვარ უკომპრომისო პოზიციას საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლების მიმართ, ქართულ ეროვნულ კოლონიის მოშლის ან მისი ეროვნული პოზიციების შესუსტების ცდის საკითხებში... ლევანის უიმედო დასწეულებამ უზომოდ დამაღონა. ნებას ვაძლევ ჩემს თავს აქ მოვიყვანო მისი წერილიდან მცირე ამონაწერი ჩემს ორ გამამხნეველ წერილზე, რომელიც მან გამომიგზავნა 1974 წლის პირველ აგვისტოს- „ძვირფასო ძმაო ნიკო!... იმედია თქვენი მხრივ ჯანმრთელად ხართ, ღმერთს მუდამ ვთხოვ, რომ ღლეგრძელად და ჯანმრთელად გამყოფოთ- არა მხოლოდ პირად კეთილ განწყობილების გამო, არამედ იმიტომ, რომ თქვენი ღლეგრძელობა ქართულ საქმეს ესაჭიროება და, რომ მომავალი აქაური თაობა ამ როლს ვერ შეასრულებს...“

ამას მე მხოლოდ შემიძლია დაუმატო ის, რითაც ეს წერილი დავიწყვე: ავადმყოფი, მოხუცებული გიხსენებ შენს მოღვაწეობისთვის უდიდესი მადლობით და შენს ჩვენს შორის არ ყოფნას განვიცდი მეტად მწვავედ. მე იმედს არ ვკარგავ, რომ მომავალი თაობა შენს დიდ მამულიშვილობას სათანადოთ შეაფასებს.

ნიკოლოზ ურუშაძე

გ ი გ ა მ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ს

გასულ წლის 29 აპრილს არგენტინის ქალ. ლა პლატაში, 79 წლის ასაკში მიიცივალა გიორგი(გიგა) მრელაშვილი. გიგა დაიბადა თელავში 1900 წელს მაისის ათს. სამუშაო სასწავლებელი იქვე დაამთავრა, რის შემდეგ შევიდა ქართულ სამხედრო სკოლაში.

გიგა იყო სამაგალითო პიროვნება. მხიარული, თავზიანი, სიმაართლის მოყვარული, გამტანი, ნამდვილი მეგობარი და ყველას დამხმარე. მისი ყოველი დადებითი მხარე იყო წმინდა ქართული. საკვირველია ის, რომ ახალგაზრდობიდან მოხუცებამდე არავითარი ქართული თვისება მას არ გამოეცვალა, მიუხედავად იმისა, რომ სამშობლო დატოვა ამოდენა ხნის განწმელობაში და ცხოვრობდა სხვა დასხვა ქვეყნებში და პირობებში.

ოდეს სამშობლოს მტერი შემოესია და სამხედრო სკოლა საომარ ასპარეზზე გავიდა,



გიგა მზიარულ სიმღერით და დარღვიმანდულ ღიმილით ალაჯებდა სკოლის მეორე მწყობრის შეგობრებულ ერთად და ფიქრადაც არ მოსვლია თავში, რომ ჩვენი სამშობლო მტრის... მტრის... მტრის... ფაღდ იქცევა. ეს არ იყო გამორჩეული ძალების შედარებით და აწონ-დაწონით, არამედ განუხსნდვრელი სამშობლოს სიყვარულით. გიგას გონება და მისი მედგარი ქართული ხასიათი ისე იყო ჩაკირწყვლული მის მაგარ და ურყევ ხასიათში, რომ ასეთი ფიქრი იყო მისთვის დაუსვებელი. როგორც გულბრკვილო ბავშვს ვერ წარმოდგენია საყვარელი დედის მიცვლენა, ისე გიგას ვერ წარმოდგენია, რომ ჩვენი სამშობლო ხელმეორედ რუსეთის მონად გახდებოდა რევოლუციის შემდეგ. ვის არ ახსოვს მისი საამო დაბალი ხმით ცრემლმომრევი სიმღერა: „მიყვარხარ ტკბილო კახეთო დიღო ალაზნის ქალაო...“ მისი რწმენა იყო ჩაქარული ამ სიტყვებში და ეს სიყვარული იყო მისი ძალა და მისი სიამაყე.

ოღეს უბედურება თავზე დაგვაცტადა, ყველასთვის ცხადი იყო თუ რა ბოლო მოეღის ჩვენ სამშობლოს, გიგა მაშინაც ახტობარს არ იტებდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს „მსოფლიო“ ხელმეორედ არ გასწირავს და რუსეთს არ დაანებებს.

ჩვენი დამარცხების შემდეგ, სამხედრო სკოლიდან ვინც დარჩა, ბოსფორის ნაპირზე ბანაკში დაბინავდა დროებით. გიგა დადუმდა და ყველას ჩამოშორდა. დიდიდან შუადღემდე და შუადღიდან საღამომდე მარტოდ დადიოდა ტყე-ტყე და ან ჩაფიქრებული იჯდა კლდის ფიქლო ქვაზე, ან ნაპარალს მწვერვალზე და გაცქერდა ფირუზ ცას საქართველოსკენ. იქნებ ცრემლით იგონებდა „ირემო ილაღლებდა, ივრის პირებზე ყანაო“-ს, მაგრამ ეს სიტყვები უნდა კახეთისკენ ეულად გაეგზავნა, რადგან არ იყენენ ვისმეს მოსასმენად. მწამს ამ მარტობაში ესმოდა მას ალაზნის ან იორის დუღუნიც.

გიგა იყო პოლონეთში მიმავალ ჯგუფში. იქ საჩინოდ დაამთავრა ფეხოსან ჯარების სკოლა. მიადწოა კაპიტანის ჩინამდე და იყო გუნდის უფროსი. ოღეს პოლონეთს გერმანია და რუსეთი შემოესია, გიგა მოხვდა გერმანელების ტყვეობაში. ერთი წლის შემდეგ გაანთავისუფლეს გერმანელებმა, დაბრუნდა ვარშავაში, მაგრამ გერმანელებთან შევიდა ჯარში, რადგან ვარაუდობდა ბოლშევიკების დამარცხების შემთხვევაში გზა ხსნილი ექნებოდა კახეთისკენ. გიგას ანგარიში არ გამოუვიდა. ბედის ქამანდა ცვალებადია! თუმცა მე და გიგა ვიყავით მოწინააღმდეგე ბანაკებში, ჩვენი პირადი მეგობრობა არაოდეს არ გაბზარულა და ომის დამთავრების შემდეგ, უცეცხლო ბრძოლის ასპარეზზე შევხვდით ერთმანეთს ძველებური სიყვარულით. მე გამარჯვებული, ის დამარცხებული, მაგრამ ორივე უსამშობლო. გამოთხოვებისას მიითხრა „ანასუნ ჩემ თავს! მინდა სადმე გადავიკარგო. მინდა ჩემ თავს დავემალო, მაგრამ სად? წავიდა არგენტინაში. დაქორწილდა. შეირთო სათნო პოლონელი ქალი, რომელიც სამი წლის შემდეგ მიიცვალა და ამ უბედურებამ გიგას დაურღვია სულიერი წონასწორობა. გიგა მიიცვალა მარტოდ-უთვისტომოდ. თუმცა მისი გვამი არგენტინის მიწაში დაიფლო, მისი სული, მჯერა- ალაზნის ველებზე ფარფაშობს და იმდერის: „ირემო ილაღლებდა, ივრის პირებზე ყანაო...“-ს.

ძვირფასო მეგობარო და უებარო ქართველო, ვაბარებ შენ სულს ხახულის ღვთისმშობელს, რომელშიც კალთა დაიბერტყა ჩვენი სამშობლოში და იგი იქნება მესვეური სულისა შენის. განისვენე გიგა, მშვიდობით. შენი მუღმივი მეგობარი

ვიტალი უგრებელიძე

კ ე თ ი ლ ი შ ე ს ა ნ დ ო ბ ა რ ი

გ.წ. 18 დეკემბერს ლევილის სასაფლაოს მიბარდა კიდეც ერთი ძვირფასი ცხედარი, ქალბატონ ივონ ურუშაძისა, დაბადებული კუტურიე.

ივონის ოჯახი გახლდათ ფრანგული ბურჟუაზიის ერთერთი დიდათ კულტურული წარმომადგენელი. დედამისი ჩინებულად ფლობდა რუსულ ენას და ლიტერატურას, ეწეოდა რუსი კლასიკების ფრანგულად თარგმნას. პირველ მსოფლიო ომის წინ ახალგაზრდა ივონი უმეგობრდება მათ მეზობლად მცხოვრებ ზიზი ნატროშვილს. ზიზი შემდეგ ცოლად გაჰყვება იოსებ(სოსო) გოგოლაშვილს.

ჩვენი ერთნული დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, ამჟამად ემიგრანტმა ზიზი გოგოლაშვილმა კვლავ მონახა მისი ძველი მეგობარი-ივონ კუტურიე და მათი ოჯახები საბოლოოდ დამეგობრდნენ. გოგოლაშვილებმა კუტურიებს გააცენეს ჯერ სასონი ფირცხალავა, რომელიც ივონის დედას ეხმარებოდა ჩხოვრის და კუპრინის ნაწარმოებების თარგმნაში,



უფრო გვიან კი საქართველოდან ახლად ჩამოსული ახალგაზრდა ნიკოლოზ ურუშაძემ რამდენიმე საეკონომიკური მითვისი შექმნა ცხოვრება. დაუკავშირა. ამ კავშირის რაობაზე თვით ბატონი ნიკოლოზი გვეუბნება: „მე ჩემს ნახევარ საუკუნის ბედნიერებას უნდა ვუმალოდე ზიზი და სოსო გოგოლაშვილებს. ივონმა იმთავითვე მიიღო ჩემი პირობა, რომ მე ქართველად დავიბადე და ქართველად უნდა მოგვეძვე მეტეი. იმ დღიდან დაწყებული ივონი სრულიად იზიარებდა ჩემთან ერთად პოლიტიკურ დევნილის ბედს, და თუ რამე გამიკეთებია ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის, როგორც რიგით მებრძოლს, ეს ივონის წყალობით“.

განსვენებული იყო ღრმა კულტურის და დახვეწილი გემოვნების მანდილოსანი. შესანიშნავი პიანისტი, ის თავის ცოდნას სიამოვნებით და სიყვარულით უზიარებდა დამწყებ ახალგაზრდებს, რითაც მან მათ შორის სიყვარული და პატივისცემა აღიმასხურა.

მისთვის უცნობ საქართველოს და ქართველი ხალხის მოყვარულმა, ქალბატონმა ივონმა ქვემარტივად დაიმსახურა ის ქართული მიწა, რომელიც მამა ილიამ მის კუბოს დააყარა. ნიკო ურუშაძის ახლო მეგობრები არ დაივიწყებენ ნიკოს ცხოვრების უახლოეს თანამგზავრის ნათელ ხსოვნას. ეს მცირე წერილი იყოს განსვენებულის საუკუნო და კეთილი შესანდობარი.

თავისუფლების ტრიბუნა

მწუხარებით ვაუწყებთ გარდაცვალებას :

- გ.წ. 28 სექტემბერს, პარიზში, ქალბატონ ნატალია ტურანენისას, დაბადებული ბაგრატიონი.
 - გ.წ. 14 ნოემბერს, პარიზში, ქალბატონ პევი ხუნდაძისას. დაიკრძალა ლევილში.
 - ა.წ. იანვარში, ქ. არლინგტონში, ქალბატონ თინა დადიანისას, დაბადებული გომართელი.
 - ა.წ. 18 იანვარს, ლევილში, ბატონ ვასილ(ვასო) საბახტარიშვილისას.
 - ა.წ. 18 თებერვას, პარიზში, გიორგი(გოგლიკ) ვაჩანაძისას. დაიკრძალა ლევილში.
 - ა.წ. 3 მარტს, ქ. სენ-მაქსიმში(საფრანგეთი) ბატონ აკაკი ასათიანისას. დაიკრძალა ლევილში.
- და ჩვენს დამწუხარებულ სამშობლოს ვუცხადებთ მათ უნუგუგუო ქირისუფლებს.

უღრმესი მადლობა

ყველას ვინც ჩემი ძმის-ვასიკოს- მიცვალებით გამოწვეული უბედურება ჩემთან ერთად გაიზიარა და მორალური თუ მატერიალური დახმარება აღმომიჩინა.

თამარ მუსხელიშვილისა-საბახტარიშვილი

შემოწირულებები ფრანგულ ფრანკებში

ავთანდი ფარჯანაძე	87,00	შოთა ბერეჟიანი ექიმ გოგი	
ელენე და შალვა ცინცაძე	380,00	ქავიაშვილის მოსაგონარი	100,00
მიშა ხუნდაძე	100,00	ნიკოლოზ თოდრაი	174,73
გივი გაბლიანი	71,23	ნამეტია გოგუაძე	100,00
მელიტონ ელენტი	100,00	ირინე ბაგრატიონი	100,00
არჩილ მჭედლიშვილი	100,00	ნიკოლა ანთაძე	100,00
ნიკოლოზ ბედელაძე	100,00	იონა გუნია	50,00
ვალოდია მეგრელიძე	100,00	პეტრე ხვედელიძე	383,40
მართა სტურუა	30,00	გიორგი ჯაყელი	100,81
ქრისტეფორე იმნაიშვილი	50,00	რაფიელ ჯაში	200,00
ნიკო ყურულიშვილი	50,00	კარლო გვარჯალაძე	72,28
ვიქტორ ინაშვილი	50,00	ალექსანდრე სულხანიშვილი	108,42

ს უ ლ 3.035,93

შემდეგ ნომრისთვის გადადებული წერილები: „ჯარი: ერთა შერწყმის იარაღი?“ - ელენე კარერ დ'ანკოსი; „მეცხრამეტე საუკუნის საქ. ისტორიის საკითხები-ივ. ჯავახიშვილი; „ზოგიერთი შენიშვნები“-ალ. სულხანიშვილი; „სომხების შურისძიება“-გრ. წერიელი;